


მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები



IFRS® Foundation
დამხმარე მასალა *IFRS for SMEs*®
სტანდარტისთვის

მათ შორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ 2015 წლის ოქტომბერში გამოცემული *მსს ფასს* სტანდარტის მე-8 განყოფილების - "ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები" - სრული ტექსტი

ვრცელ განმარტებებთან, თვითშეფასების კითხვებთან და სიტუაციურ მაგალითებთან ერთად

IFRS® Foundation
Columbus Building
7 Westferry Circus
Canary Wharf
ლონდონი E14 4HD
გაერთიანებული სამეფო

ტელეფონი: +44 (0)20 7246 6410
ფაქსი: +44 (0)20 7246 6411
ელ.ფოსტა: info@ifrs.org

პუბლიკაციების ტელეფონი: +44 (0)20 7332 2730
პუბლიკაციების ფაქსი: +44 (0)20 7332 2749
პუბლიკაციების ელ.ფოსტა: publications@ifrs.org
ვებგვერდი: www.ifrs.org

წინამდებარე მოდული მომზადებულია ფას ფონდის (შემდგომში ფონდი) საგანმანათლებლო ფუნდის მიერ. იგი არ არის დამტკიცებული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (შემდგომში საბჭო) მიერ. ეს მოდული შემუშავებულია, რათა დაეხმაროს IFRS for SMEs® სტანდარტის (შემდგომში სტანდარტი) მომხმარებლებს სტანდარტის დანერგვას და თანმიმდევრულ გამოყენებაში.

წინამდებარე პუბლიკაციასთან დაკავშირებული ყველა უფლება, მათ შორის საავტორო უფლება, ეკუთვნის IFRS® Foundation-ს.
საავტორო უფლება © 2018 ფას ფონდი. ყველა უფლება დაცულია.
ელ.ფოსტა: info@ifrs.org ვებგვერდი: www.ifrs.org

პასუხისმგებლობაზე უარის თქმა: ყველა ნაგულისხმევი გარანტია, მათ შორის, მაგრამ არამხოლოდ, დამაკმაყოფილებელი ხარისხის, კონკრეტული მიზნით გამოყენებისთვის შესაფერისობის, საავტორო უფლებების დაურღვევლობისა და სიზუსტის გარანტია, გამორიცხულია იმ ზომით, რამდენადაც შესაძლებელია მათი გამორიცხვა სამართლებრივი თვალსაზრისით. შესაბამისი კანონმდებლობით დაშვებული ზომით, საბჭო და ფონდი პირდაპირ იხსნიან ყველა პასუხისმგებლობას, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულებით, სამოქალაქო სამართალდარღვევით ან სხვა მიზეზით (მათ შორის, მაგრამ არამხოლოდ პასუხისმგებლობით დაუღვევრობის ან უმოქმედობის გამო) ნებისმიერი პირის მიმართ ნებისმიერ მოთხოვნასთან, ან ნებისმიერი ხასიათის ზიანთან დაკავშირებით, რომელიც პირდაპირ, ან არაპირდაპირ გამომდინარეობს შემდეგიდან: (i) წინამდებარე პუბლიკაციის სრულ, ან ნაწილობრივ შინაარსზე დაყრდნობით განხორციელებული ნებისმიერი მოქმედება, ან ნებისმიერი მოქმედების, ან უმოქმედობის შედეგები; და (ii) წინამდებარე პუბლიკაციაში არსებული ნებისმიერი, ან სხვა ინფორმაციისა და მასალების გამოყენება. შესაბამისი კანონმდებლობით დაშვებული ზომით, საბჭოს, ფონდს, ავტორებსა და გამომცემლებს არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა ნებისმიერი სახის ზიანთან, ან ზარალთან დაკავშირებით, რომელიც გამოწვეულია წინამდებარე პუბლიკაციის, ან მისი თარგმანის გამოყენებით, ან/და მის შინაარსზე დაყრდნობით, მათ შორის, მაგრამ არამხოლოდ პირდაპირ, არაპირდაპირ, გაუთვალისწინებელ, ან ირიბ ზიანთან, სადამსჯელო ზიანის ანაზღაურებასთან, ჯარიმებთან ან ხარჯებთან დაკავშირებით.

წინამდებარე პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არ წარმოადგენს რჩევას, იგი არ უნდა იქნეს გამოყენებული, როგორც გადაწყვეტილების მიღების საფუძველი და არ უნდა ჩაითვალოს კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირისგან მიღებული რჩევის შემცვლელად. შესაბამისი ბუღალტრული მოთხოვნებისთვის გამოყენებული უნდა იქნეს საბჭოს მიერ გამოქვეყნებული სტანდარტი.

წინამდებარე პუბლიკაციაში გამოყენებული ნებისმიერი პირის, კომპანიის ან/და ადგილის დასახელება გამოწვეულია და შემთხვევითია რეალურ ადამიანებთან, საწარმოებთან ან ადგილებთან ნებისმიერი მსგავსება.

გამოყენების უფლება: მართალია, ფონდი ამ მოდულის საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოყენების მომხრეა, მაგრამ მისი გამოყენება უნდა მოხდეს ქვემოთ მოცემული გამოყენების პირობების შესაბამისად. თუ აპირებთ ჩვენი მასალების კომერციულ პროდუქტში ჩართვას, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ, რადგან ამ შემთხვევაში დაგჭირდებათ ინდივიდუალური ლიცენზია. ჩვენი სტანდარტების გამოყენებასთან დაკავშირებული დეტალების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ ეწვიოთ ბმულს www.ifrs.org/issued-standards.

უნდა დარწმუნდეთ, რომ სარგებლობთ ჩვენი ვებგვერდზე არსებული ყველაზე ახალი მასალებით. ამ მოდული გამოყენების უფლებას ვადა გაუვა მოდულის გამოყენების შეწყვეტის ან განახლების შემთხვევაში, ასეთ დროს, საჭიროა მისი გამოყენების ან/და მისი ხელმისაწვდომობის შეწყვეტა. თქვენი ინდივიდუალური პასუხისმგებლობა დარწმუნდეთ, რომ იყენებთ შესაბამის მასალას, შეამოწმოთ ფონდის ვებგვერდი, რათა მიიღოთ ინფორმაცია სტანდარტში შეტანილი ცვლილებების, მსს-ს დანერგვის გზავლის ჯერ არ ასახული კითხვების და პასუხების, ან/და მოდულების ახალი ვერსიების შესახებ.

გამოყენების პირობები

- 1) მომხმარებელს უფლება აქვს მოახდინოს ამ მოდულის სრული ან ნაწილობრივი რეპროდუქცია ნაბეჭდი ან ერთეული ელექტრონული დოკუმენტის სახით, იმ პირობით, რომ:
 - (ა) დოკუმენტი მონაწილეებს უფასოდ მიეწოდებათ;
 - (ბ) არ იყენებთ და არ ახდენთ რეპროდუქციას და არ აძლევთ სხვა პირებს უფლებას გამოიყენონ ან მოახდინონ მოდულზე, ან მოდულში გამოსახული ფონდის ლოგოს რეპროდუქცია;
 - (გ) არ იყენებთ და არ ახდენთ მოდულზე ან მოდულში წარმოდგენილი სასაქონლო ნიშნების რეპროდუქციას, როდესაც სრულად, ან ნაწილობრივ იყენებთ ამ მასალას საკუთარ დოკუმენტაციაში; და
 - (დ) უფლება გაქვთ ეს მოდული სრულად განათავსოთ თქვენს ვებგვერდზე, თუ დაურთავთ ჩვენი ვებგვერდის მკაფიო ბმულს (დამატებითი ინფორმაციის მისაღებად თქვენი ვებგვერდის ჩვენს ვებგვერდთან ბმის შესახებ, გთხოვთ, იხილოთ [პირობების](#) გვერდი).
- 2) სასაქონლო ნიშნები მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილ ნიშნებს.
- 3) ამ პუბლიკაციის ნაწილის კოპირების ან ციტირებისას სხვა დოკუმენტში შესატანად აუცილებელია, რომ:
 - (ა) დოკუმენტაცია მოიცავდეს საავტორო უფლების აღიარებას;
 - (ბ) დოკუმენტაცია მოიცავდეს განცხადებას, რომ ამ მოდულის ავტორი არის ფონდი და მოდულის დედანი ხელმისაწვდომია ფასს-ის ვებგვერდზე www.ifrs.org;
 - (გ) დოკუმენტაცია მკაფიო ადგილას სათანადო ფორმით მოიცავდეს პასუხისმგებლობაზე უარის თქმას, როგორც ეს წარმოდგენილია ზემოთ;
 - (დ) ციტატა მოცემული უნდა იყოს ზუსტად; და
 - (ე) ციტატა არ უნდა იქნეს გამოყენებული შეცდომაში შემყვან კონტექსტში.

თუ აპირებთ ამ მოდულის ნებისმიერი ნაწილის ბეჭდური ან ელექტრონული ფორმით მიწოდებას ნებისმიერი სხვა მიზნით, გთხოვთ, დაუკავშირდეთ ფონდს, რადგან დაგჭირდებათ წერილობითი ლიცენზია, რომელიც შესაძლოა მიიღოთ, ან ვერ მიიღოთ. დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, დაუკავშირდეთ სალიცენზიო გზავსს (www.ifrs.org/legal/education-material-licensing).

პუბლიკაციისა და საავტორო უფლებების საკითხებთან დაკავშირებით, გთხოვთ, მიმართოთ ფასს ფონდის პუბლიკაციების დეპარტამენტს:
ელ.ფოსტა: publications@ifrs.org Web: www.ifrs.org

სასაქონლო ნიშნები



ფასს ფონდის მსოფლიოში რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშნებს შორისაა: 'eIFRS®', 'International Accounting Standards®', 'IAS®', 'IASB®', IASB® ლოგო, 'IFRIC®', 'International Financial Reporting Standards®', 'IFRS®', IFRS® ლოგო, 'IFRS Foundation®', 'IFRS for SMEs®', 'IFRS for SMEs® ლოგო', 'Hexagon Device', 'NIIF®' და 'SIC®'. მოთხოვნის შემთხვევაში ფასს ფონდიდან ხელმისაწვდომია დამატებითი ინფორმაცია ფასს ფონდის სასაქონლო ნიშნების შესახებ.

სარჩევი

შესავალი	1
<i>მს ფასს</i> სტანდარტის რომელი ვერსიაა გამოყენებული?	1
წინამდებარე მოდული	1
<i>მს ფასს</i> სტანდარტი	2
შესავალი - სტანდარტის მოთხოვნები	3
რა შეიცვალა <i>მს ფასს</i> სტანდარტში 2009 წლის შემდეგ?	4
მოთხოვნები და მაგალითები	5
მოქმედების სფერო	5
განმარტებითი შენიშვნების სტრუქტურა	5
ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ	17
ინფორმაცია გადაწყვეტილებების შესახებ	21
ინფორმაცია განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროების შესახებ	26
შედარება <i>მს ფასს</i> სტანდარტების სრულ ვერსიასთან	29
შეამოწმეთ თქვენი ცოდნა	30
გამოიყენეთ ცოდნა	34
სიტუაციური მაგალითი	34
სიტუაციური მაგალითი - პასუხი	53

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ამ მოდულში განხილული ბუღალტრული აღრიცხვის მოთხოვნები, რომლებიც ეხება მცირე და საშუალო საწარმოებს (მსს) განსაზღვრულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (საბჭო) მიერ 2015 წლის ოქტომბერში გამოქვეყნებული *მსს ფასს* სტანდარტით.

ეს მოდული მომზადებულია ფასს ფონდის საგანმანათლებლო გუნდის მიერ.

მსს ფასს სტანდარტის მე-8 განყოფილების - „*ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები*“ შინაარსი ამ მოდულში ნაცრისფრად არის მოცემული. *მსს ფასს* სტანდარტის ტერმინების ლექსიკონი (ლექსიკონი) ასევე მოთხოვნების ნაწილია. ლექსიკონში განსაზღვრული ტერმინები მოცემულია მუქი შრიფტით, როდესაც ტერმინი პირველად შემოდის მე-8 განყოფილების ტექსტში. შენიშვნები და მაგალითები, რომლებიც მომზადებულია საგანმანათლებლო გუნდის მიერ, არ არის მოცემული გამოყოფილი ფერით. ეს შენიშვნები და მაგალითები არ არის *მსს ფასს* სტანდარტის ნაწილს და არ არის დამტკიცებული საბჭოს მიერ.

შესავალი

IFRS for SMEs[®] სტანდარტის რომელი ვერსიაა გამოყენებული?

როდესაც 2009 წელს პირველად გამოქვეყნდა *მსს ფასს* სტანდარტი, საბჭომ განაცხადა, რომ განახორციელებდა სტანდარტის საწყის სრულ გადასინჯვას საწარმოების მიერ სტანდარტის გამოყენების პირველი ორი წლის გამოცდილებისა და შედეგად ცვლილებების შეტანის საჭიროების შესაფასებლად. ამ მიზნით, 2012 წლის ივნისში საბჭომ გამოაქვეყნა მოთხოვნა გადასინჯვაზე: მსს ფასს-ის სრული გადასინჯვა. ამის შემდეგ, 2013 წელს გამოქვეყნდა *მსს ფასს* სტანდარტში ცვლილებების შეტანის წინასწარი პროექტი, ხოლო 2015 წლის მაისში საბჭომ გამოაქვეყნა 2015 წლის შესწორებები *მსს ფასს* სტანდარტში.

2015 წლის მაისში გამოქვეყნებულ დოკუმენტში შეტანილი იყო მხოლოდ შესწორებული ტექსტი, ხოლო 2015 წლის ოქტომბერში საბჭომ გამოსცა სტანდარტის სრულად შესწორებული ვერსია, რომელშიც ასახული იყო მცირე დამატებითი სარედაქციო ხასიათის ცვლილებები და ასევე 2015 წლის მაისის არსებითი შესწორებები. ამ ვერსიას ეყრდნობა წინამდებარე მოდული.

2015 წლის ოქტომბერში გამოცემული *მსს ფასს* სტანდარტი მოქმედია 2017 წლის 1-ელ იანვარს და მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართული იყო სტანდარტის ვადაზე ადრე გამოყენება, მაგრამ, ამ შემთხვევაში, საწარმო ვალდებული იყო გაემჟღავნებინა ეს ფაქტი.

წინამდებარე მოდულში მოცემული ნებისმიერი მითითება *მსს ფასს* სტანდარტზე შეეხება 2015 წლის ოქტომბერში გამოცემულ ვერსიას.

წინამდებარე მოდული

წინამდებარე მოდულში მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნების წარდგენის პრინციპები *მსს ფასს* სტანდარტის მე-8 განყოფილების - „*ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები*“ - შესაბამისად. იგი წარადგენს საკითხს და ოფიციალურ ტექსტს ამდიდრებს ახსნა-განმარტებებით და მაგალითებით, რომლებიც შედგენილია მოთხოვნების უკეთ გასაგებად. გარდა ამისა, წინამდებარე მოდულში წარმოდგენილია კითხვები სტანდარტით დადგენილი მოთხოვნების შესახებ თქვენი ცოდნის შესამოწმებლად და, აგრეთვე, სიტუაციური მაგალითები, რაც იძლევა *მსს ფასს* სტანდარტის გამოყენებით

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნების წარდგენის პრინციპების პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობას.

ამ მოდულის წარმატებით დასრულების შემდეგ, თქვენ შეძლებთ, *მსს ფასს* სტანდარტის ფარგლებში:

- განსაზღვროთ განმარტებითი შენიშვნების წარდგენის სტრუქტურა და თანმიმდევრობა;
- განსაზღვროთ რა ინფორმაცია უნდა გამჟღავნდეს მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკაში;
- გაითვალისწინოთ წარდგენის მოთხოვნები, რათა გაამჟღავნოთ სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი მსჯელობის შესახებ ინფორმაცია;
- გაიგოთ როგორ წარადგინოთ ინფორმაცია განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროების შესახებ.

მსს ფასს სტანდარტი

მსს ფასს სტანდარტი გამიზნულია იმ საწარმოების საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთაც არ გააჩნიათ საჯარო ანგარიშვალდებულება. (იხ. პირველი განყოფილება - „*მცირე და საშუალო საწარმოები*“).

მსს ფასს სტანდარტი შედგება სავალდებულო მოთხოვნებისა და სხვა არასავალდებულო მასალისგან.

არასავალდებულო მასალა მოიცავს:

- წინასიტყვაობას, რომელშიც მოცემულია *მსს ფასს* სტანდარტის ზოგადი შესავალი და განმარტებულია მისი მიზანი, სტრუქტურა და უფლებამოსილება;
- მითითებებს დანერგვაზე, რომელშიც შედის საილუსტრაციო ფინანსური ანგარიშგებები და ანგარიშგების წარდგენისა და გამჟღავნების მოთხოვნების ცხრილი;
- დასკვნების საფუძველს, რომელშიც შეჯამებულია საბჭოს მიერ განხილული ის ძირითადი საკითხები, რომლებიც გახდა 2009 წელს გამოცემული *მსს ფასს* სტანდარტისა და 2015 წლის შესწორებების საფუძველი; და
- საბჭოს იმ წევრის განსხვავებულ მოსაზრებას, რომელიც არ დაეთანხმა 2009 წლის *მსს ფასს* სტანდარტის გამოცემას და ასევე საბჭოს იმ წევრის განსხვავებულ მოსაზრებას, რომელიც არ დაეთანხმა 2015 წლის შესწორებებს.

მსს ფასს სტანდარტში, დანართი ა: ძალაში შესვლის თარიღი და მოცემულ სტანდარტზე გადასვლა, და დანართი ბ: ტერმინების ლექსიკონი, წარმოადგენს სავალდებულო მოთხოვნების ნაწილს.

მსს ფასს სტანდარტის 21-ე განყოფილება - „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“, 22-ე განყოფილება - „ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი“ და 23-ე განყოფილება - „ამონაგები“ მოიცავს დანართებს. აღნიშნული დანართები წარმოადგენს არასავალდებულო მითითებებს.

მსს ფასს სტანდარტი გამოცემულია ორ ნაწილად: ნაწილი (ა) მოიცავს წინასიტყვაობას, ყველა სავალდებულო მასალას და 21-ე, 22-ე და 23-ე განყოფილებების დანართებს; ხოლო ნაწილი (ბ) მოიცავს ზემოთ აღნიშნული მასალის დარჩენილ ნაწილებს.

ამასთან, მსს-ს დანერგვის ჯგუფი (SMEIG), რომელიც ეხმარება საბჭოს *მსს ფასს* სტანდარტის დანერგვის საკითხებში, აქვეყნებს მითითებებს სტანდარტის გამოყენებასთან დაკავშირებით -

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

„კითხვები და პასუხები“ (Q&As). ეს „კითხვები და პასუხები“ წარმოადგენს არასავალდებულო დროულ მითითებებს ბუღალტრული აღრიცხვის იმ კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მსს-ს დანერგვის ჯგუფთან საწარმოებმა, რომელთაც დანერგეს *მსს ფასს* სტანდარტი და სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა წამოჭრეს. ამ მოდულის გამოცემის დროს (2018 წლის სექტემბერი) მსს-ს დანერგვის ჯგუფს არ ჰქონდა გამოქვეყნებული აღნიშნული მოდულის შესაბამისი კითხვები და პასუხები.

შესავალი - სტანდარტის მოთხოვნები

მცირე და საშუალო საწარმოების საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მიზანია, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, მისი საქმიანობის შედეგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო ინფორმაცია მიაწოდოს მომხმარებელთა ფართო წრეს, რომელსაც არ გააჩნია უფლებამოსილება საწარმოს მოსთხოვოს თავის სპეციფიკურ საინფორმაციო საჭიროებებზე მორგებული ანგარიშგების მომზადება. ასეთი მომხმარებლები შესაძლოა იყვნენ მაგალითად, საწარმოს მესაკუთრეები, რომლებიც მონაწილეობას არ იღებენ საწარმოს საქმიანობის მართვაში, არსებული და პოტენციური კრედიტორები და საკრედიტო რეიტინგის სააგენტოები.

მე-3 განყოფილება - „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ განსაზღვრავს წარდგენის ზოგად მოთხოვნებს, ხოლო განყოფილებები 4-7 ყურადღებას ამახვილებს ფინანსური ანგარიშგებების წარდგენის მოთხოვნებზე. თითქმის ყველა განყოფილება ყურადღებას ამახვილებს განმარტებით შენიშვნებზე, მათი უმეტესობა წარდგენილია შენიშვნების ნაწილში და არა ფინანსურ ანგარიშგებაში, რომლებსაც ეხება 4-7 განყოფილებები. გარდა ამისა, საჭიროა დამატებითი განმარტებითი შენიშვნების წარდგენა, როდესაც, მხოლოდ *მსს ფასს* სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობა არ არის საკმარისი, რათა მომხმარებლებმა გაიგონ კონკრეტული ოპერაციების, მოვლენებისა და მდგომარეობის გავლენა, საწარმოს ფინანსური მდგომარეობაზე, ფინანსური შედეგებისა და ფულად ნაკადებზე (იხ. პუნქტი 3.2 და 8.2 (გ)).

მე-10 განყოფილება - „სააღრიცხვო პოლიტიკა, შეფასებები და შეცდომები“ - ყურადღებას ამახვილებს სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და გამოყენებაზე, ასევე იმაზე თუ, როგორ უნდა გამჟღავნდეს სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები, აღნიშნული განყოფილება მოითხოვს შერჩეული სააღრიცხვო პოლიტიკის და სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევისას გამოყენებული ყველაზე მგრძობიარე შეფასებებისა და სხვა მსჯელობების გამჟღავნებას.

მე-8 განყოფილება - „ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები“ - ადგენს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ძირითადი ინფორმაციის წარდგენის პრინციპებს და ასევე იმ პრინციპებს, თუ როგორ უნდა მოხდეს აღნიშნული ინფორმაციის წარდგენა. აღნიშნული განყოფილება ყურადღებას ამახვილებს განმარტებითი შენიშვნების სტრუქტურაზე და მოითხოვს შერჩეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების და სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევისას გამოყენებული ყველაზე მგრძობიარე შეფასებებისა და სხვა მსჯელობების გამჟღავნებას.

ყველაზე მნიშვნელოვანი მსჯელობების გამჟღავნება, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს საშუალებას აძლევს გააანალიზოს, თუ როგორ გამოიყენება სააღრიცხვო პოლიტიკა და ერთმანეთს შეადაროს საწარმოები იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებზე დაყრდნობითაც ხელმძღვანელობამ განაზოცილა ეს მსჯელობა.

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

რა შეიცვალა *მსს ფასს* სტანდარტში 2009 წლის შემდეგ?

მსს ფასს სტანდარტის აღნიშნული განყოფილება არ შეცვლილა 2015 წლის ჩასწორებებისას. თუმცა, აღნიშნული მოდული შეიცავს სხვა უმნიშვნელო სარედაქციო ხასიათის ცვლილებებს.

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

მოთხოვნები და მაგალითები

საილუსტრაციო განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც წარდგენილია აღნიშნული მოდულის მაგალითებში, არ მოიცავს *მსს ფასს* სტანდარტით მოთხოვნილ განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნებების ყველა ასპექტს. *მსს ფასს* სტანდარტის განყოფილებების უმეტესობა განსაზღვრავს კონკრეტულ განყოფილებაზე მორგებულ წარდგენისა და გამჟღავნების მოთხოვნებს. ყველა განყოფილების მოთხოვნები შეჯამებულია წარდგენისა და გამჟღავნების მოთხოვნების ცხრილში, რომელიც მოცემულია დანერგვაზე მითითებებში, თუმცა ის არ წარმოადგენს *მსს ფასს* სტანდარტის ნაწილს. *მსს ფასს* სტანდარტში მოცემული გამჟღავნების მოთხოვნები უნდა ჩაითვალოს მოთხოვნების მინიმუმად. თუმცა, საწარმომ არ უნდა გაამჟღავნოს *მსს ფასს* სტანდარტის ისეთი მოთხოვნები, რომლებიც არ არის არსებითი. არსებითობა განხილულია პუნქტში 2.6.

საჭიროა დამატებითი განმარტებითი შენიშვნების წარდგენა, როდესაც, მხოლოდ *მსს ფასს* სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა არ არის საკმარისი, რათა მომხმარებლებმა გაიგონ კონკრეტული ოპერაციების მოვლენებისა და მდგომარეობის გავლენა, საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსურ შედეგებისა და ფულად ნაკადებზე. შესაბამისად, საწარმომ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში სხვაგან არსად არის ასახული, მაგრამ მათი ცოდნა მნიშვნელოვანია.

მოქმედების სფერო

8.1 ამ განყოფილებაში ჩამოყალიბებულია პრინციპები, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება, რა ინფორმაცია უნდა გამჟღავნდეს **ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში** და როგორ. განმარტებითი შენიშვნები შეიცავს სხვა, დამატებით ინფორმაციას, რომელიც ასახული არ არის **ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში**, **სრული შემოსავლის ანგარიშგებაში** (თუ წარდგენილია), **განცალკევებულ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში** (თუ წარდგენილია), **მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ერთიან ანგარიშგებაში** (თუ წარდგენილია), **საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა** (თუ წარდგენილია) და **ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში**. განმარტებით შენიშვნებში მოცემულია ამ ანგარიშგებებში წარმოდგენილი მუხლების სიტყვიერი დახასიათება, ან მათ შესახებ დეტალიზებული მონაცემები, ასევე ინფორმაცია იმ მუხლების შესახებ, რომლებიც არ აკმაყოფილებს ფინანსურ ანგარიშგებაში **აღიარების კრიტერიუმებს**. ამ განყოფილებაში მოცემული მოთხოვნების გარდა, წინამდებარე სტანდარტის თითქმის ყველა სხვა განყოფილებაც მოიცავს მოთხოვნებს გარკვეული ინფორმაციის გამჟღავნების შესახებ, რომელიც, როგორც წესი, განმარტებით შენიშვნებში აისახება.

განმარტებითი შენიშვნების სტრუქტურა

8.2 ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა გამჟღავნდეს:

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

- (ა) ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლისა და საწარმოს მიერ გამოყენებული **სააღრიცხვო პოლიტიკის** შესახებ, 8.5-8.7 პუნქტების შესაბამისად;
- (ბ) ამ სტანდარტის მოთხოვნებით გათვალისწინებული ინფორმაცია, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში სხვაგან არსად არ არის ასახული; და
- (გ) დამატებითი ინფორმაცია, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში სხვაგან არსად არ არის ასახული, მაგრამ აუცილებელია საწარმოს ფინანსური ანგარიშგების რომელიმე მუხლის გასაგებად.

შენიშვნები

მსს ფასს სტანდარტის გამოყენება, საჭიროებისამებრ დამატებითი განმარტებითი შენიშვნების ასახვით, ითვლება, რომ იძლევა ფინანსური ანგარიშგებას, რომელიც უზრუნველყოფს მსს-ს ფინანსური მდგომარეობის, ფინანსური შედეგისა და ფულადი ნაკადების სამართლიან წარდგენას. დამატებითი განმარტებითი შენიშვნების წარდგენა საჭიროა, როდესაც მხოლოდ *მსს ფასს* სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობა არ არის საკმარისი, რათა მომხმარებლებმა გაიგონ კონკრეტული ოპერაციების მოვლენებისა და გარემოებების გავლენა, საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე (იხ. პუნქტი 3.2).

- 8.3 საწარმომ ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები უნდა მოამზადოს, შეძლებისდაგვარად, სისტემატიზებული სახით. ფინანსური ანგარიშგების თითოეული მუხლი, რომლის შესახებაც დამატებითი ინფორმაცია მოცემულია განმარტებით შენიშვნებში, უნდა მოიცავდეს ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი განმარტებითი შენიშვნის მითითებას.
- 8.4 როგორც წესი, განმარტებითი შენიშვნები წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი თანმიმდევრობით:
 - (ა) განცხადება იმის შესახებ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია *მსს ფასს* - ის შესაბამისად (იხ. პუნქტი 3.3);
 - (ბ) საწარმოს მიერ გამოყენებული ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (პუნქტი 8.5);
 - (გ) დამატებითი/დამხმარე ინფორმაცია უშუალოდ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მუხლების განმარტებისათვის, ისეთივე თანამიმდევრობით, როგორც წარმოდგენილია თითოეული ანგარიშგება და მისი თითოეული მუხლი;
 - (დ) სხვა განმარტებები

შენიშვნები

ხშირად ანგარიშვალდებული საწარმო ფინანსური ანგარიშგების პირველ განმარტებით შენიშვნაში წარადგენს ზოგად ინფორმაციას ანგარიშვალდებული საწარმოს შესახებ (ე.ი წარმოდგენილია შესაბამისობის განაცხადამდე). აღნიშნული განმარტებითი შენიშვნა, ძირითადად, მოიცავს:

- (i) საწარმოს ადგილმდებარეობას და ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, ქვეყანას, სადაც რეგისტრირებულია საწარმო და რეგისტრირებული ოფისის მისამართს (იხ. პუნქტი 3.24 (ა));

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

- (ii) საწარმოს ოპერაციების შინაარსის და ძირითადი საქმიანობების აღწერას; (იხ. პუნქტი 3.24(ბ)); და
- (iii) თარიღს, როდესაც ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა და ორგანოს დასახელებას, რომელმაც დაამტკიცა იგი (იხ. პუნქტი 32.9).

სხვა ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს მოიცავს მაგალითად, სამართლებრივი დოკუმენტების რაოდენობას და ტიპს, რომლის მიხედვითაც საწარმო დაფუძნდა ან სამართლებრივ ვადას (მაგ. საწარმოს საქმიანობის ხანგრძლივობა, საწარმოს საქმიანობის ხანგრძლივობა შეზღუდულია თუ განუსაზღვრელი). აღნიშნული ინფორმაცია შესაძლოა გამოსადეგი იყოს საწარმოს ფუნქციონირებადობის შეფასებისას.

მაგალითი—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

აღნიშნულ მაგალითში წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს მცირე ზომის საწარმოს მიერ გამჟღავნებული შენიშვნები, რომელიც აწარმოებს და ყიდის სანთლებს. თითოეულმა საწარმომ უნდა განიხილოს გამჟღავნების მოთხოვნა, რომელიც აუცილებელია სამართლიანი წარდგენის მისაღწევად. აღნიშნული საილუსტრაციო განმარტებითი შენიშვნები არ უნდა იქნეს გამოყენებული შაბლონად ყველა საწარმოსთვის.

მაგ. 1 A ჯგუფმა, რომელიც აწარმოებს სანთლებს, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის მოამზადა განმარტებითი შენიშვნები შემდეგნაირად:

შპს XYZ

სააღრიცხვო პოლიტიკა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 20X2 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

ჯგუფი XYZ (ჰოლდინგი) შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა („კომპანია“), რომელიც რეგისტრირებულია A ქვეყანაში. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის _____. ჯგუფი XYZ შედგება კომპანიისგან და სრულ საკუთრებაში მყოფი შვილობილი საწარმოსგან - შპს XYZ (სავაჭრო). მათი ძირითადი საქმიანობაა სანთლების წარმოება და რეალიზაცია.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (*მსს ფასს*) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია A ქვეყნის ფულად ერთეულებში (ფე), რომელიც წარმოადგენს ჯგუფის წარსადგენ ვალუტას და კომპანიის და მისი შვილობილი საწარმოს სამუშაო ვალუტას.

მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. ჯგუფის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა განსაზღვრულია მე-3 განმარტებით შენიშვნაში.

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ზოგიერთ შემთხვევაში, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება მოითხოვს შეფასებებსა და მსჯელობებს. ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის მიღებისას ხელმძღვანელობის მსჯელობები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე წარმოდგენილია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა (იხ. მე-2 მაგალითი)

4. განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

გასამრჯელოები ხანგრძლივი მუშაობის სტაჟისათვის

ხანგრძლივი მუშაობის სტაჟისათვის გასამრჯელოების ვალდებულების განსაზღვრისთვის (განმარტებულია მე-20 განმარტებით შენიშვნაში), ხელმძღვანელობა აკეთებს შემდეგ შეფასებებს: მომავალი 5 წლის განმავლობაში ხელფასების ზრდა, მიმდინარე ღირებულების დათვლისას დისკონტირების განაკვეთი მომავალი 5 წლისთვის და დასაქმებულთა რაოდენობა, რომლებიც მოსალოდნელია, რომ სამსახურს დატოვებენ სარგებლის მიღებამდე.

5. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა

ბანკის სესხისა და ბანკის ოვერდრაფტის ხელშეკრულებების პირობების მიხედვით დაუშვებელია ისეთი ოდენობის დივიდენდების გადახდა, რაც გაუნაწილებელი მოგების ნაშთს შეამცირებს ბანკისა და ბანკის ოვერდრაფტის მიმდინარე ნაშთების ჯამზე ნაკლებ სიდიდემდე.

6. ამონაგები

	20X2	20X1
	<i>ფე</i>	<i>ფე</i>
საქონლის გაყიდვა	6,743,545	5,688,653
როიალტები—სანთლის დამზადებაზე პატენტების ლიცენზირება	120,000	120,000
	<u>6,863,545</u>	<u>5,808,653</u>

7. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავლები მოიცავს 20X1 და 20X2 წლებში მეკავშირე საწარმოსგან მიღებულ დივიდენდებს 25,000 ფე-ის ოდენობით, ასევე 20X2 წელს ძირითადი საშუალებების გასხვისებიდან მიღებულ შემოსულობას 63,850 ფე-ის ოდენობით.

8. ფინანსური დანახარჯები

	20X2	20X1
	<i>ფე</i>	<i>ფე</i>
პროცენტი ბანკის სესხსა და ოვერდრაფტზე	(21,250)	(30,135)
პროცენტი ფინანსურ იჯარაზე	(5,116)	(6,577)
	<u>(26,366)</u>	<u>(36,712)</u>

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

9. მოგება დაბეგვრამდე

დაბეგვრამდე მოგების განსაზღვრისას ხარჯად აღიარებულია შემდეგი მუხლები:

	20X2	20X1
	<i>ვ</i>	<i>ვ</i>
ხარჯად აღიარებული მარაგების თვითღირებულება	5,178,530	4,422,575
სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ხარჯი (ჩართულია სხვა ხარჯებში)	31,620	22,778
სავაჭრო ვალდებულებებზე საკურსო სხვაობის შედეგად მიღებული ზარალი (ჩართულია სხვა ხარჯებში)	1,000	–
საგარანტიო მომსახურების ხარჯი (ჩართულია გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში)	5,260	7,340

10. მოგების გადასახადის ხარჯი

	20X2	20X1
	<i>ვ</i>	<i>ვ</i>
მიმდინარე გადასახადი	271,647	190,316
გადავადებული გადასახადი (შენიშვნა 16)	(1,397)	(757)
	<u>270,250</u>	<u>189,559</u>

მოგების გადასახადი გაიანგარიშება მიმდინარე წლის შეფასებული სავარაუდო მოგების 40%-ის ოდენობით (20X1: 40%)

20X2 წლის მოგების გადასახადის ხარჯი 270,250ფე განსხვავდება იმ თანხისგან, რომელიც მიიღება დაბეგვრამდე მოგების მიმართ 40%-იანი საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით (როგორც 20X2 წელს, ასევე 20X1 წელს), ვინაიდან A ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ზოგიერთი ხარჯი (20,760ფე 20X2 წელს და 16,750ფე 20X1 წელს), რომლებიც აღიარდება ხარჯად დაბეგვრამდე მოგების გაანგარიშებისას, არ ექვემდებარება გამოქვითვას მოგების გადასახადის განსაზღვრისას.

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	20X2	20X1
	<i>ვ</i>	<i>ვ</i>
სავაჭრო დებიტორები	528,788	528,384
გადახდილი ავანსები	56,760	45,478
	<u>585,548</u>	<u>573,862</u>

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

12. მარაგები

	20X2	20X1
	<i>ფე</i>	<i>ფე</i>
ნედლეული	42,601	36,450
დაუმთავრებელი წარმოება	1,140	900
მზა პროდუქცია	13,640	10,570
	<u>57,381</u>	<u>47,920</u>

13. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

ჯგუფი ფლობს 35% წილს მეკავშირე საწარმოში, რომლის აქციები საჯაროდ არ იყიდება.

	20X2	20X1
	<i>ფე</i>	<i>ფე</i>
მეკავშირე საწარმოში განხორციელებული ინვესტიციის თვითღირებულება	107,500	107,500
მეკავშირე საწარმოდან მიღებული დივიდენდები (ჩართულია სხვა შემოსავალში)	25,000	25,000

14. ძირითადი საშუალებები

	<i>მიწა და შენობა-ნაგებობები</i>	<i>მოწყობილობები და აღჭურვილობა</i>	<i>მთლიანად</i>
	<i>ფე</i>	<i>ფე</i>	<i>ფე</i>
თვითღირებულება			
20X2 წლის 1-ლი იანვარი	1,960,000	1,102,045	3,062,045
შემოსვლა	–	485,000	485,000
გასვლა	–	(241,000)	(241,000)
20X2 წლის 31 დეკემბერი	<u>1,960,000</u>	<u>1,346,045</u>	<u>3,306,045</u>
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება			
20X2 წლის 1-ლი იანვარი	390,000	270,590	660,590
წლიური ცვეთა	30,000	240,360	270,360
გაუფასურება	–	30,000	30,000
გამოკლებული გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	–	(204,850)	(204,850)
20X2 წლის 31 დეკემბერი	<u>420,000</u>	<u>336,100</u>	<u>756,100</u>
საბალანსო ღირებულება			
20X2 წლის 31 დეკემბერი	<u>1,540,000</u>	<u>1,009,945</u>	<u>2,549,945</u>

20X2 წლის განმავლობაში ჯგუფმა მთავარი აღჭურვილობის ეფექტურობის მნიშვნელოვანი კლება შეამჩნია და განახორციელა მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადახედვა. გადახედვის შედეგად აღიარდა 30,000ფე-ის ოდენობის გაუფასურების ზარალი.

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ჯგუფის მოწყობილობებისა და აღჭურვილობის საბალანსო ღირებულება მოიცავს 40,000ფე-ს (20X1: 60,000 ფე-ს) ფინანსური იჯარით აღებულ აქტივებთან დაკავშირებით.

20X2 წლის 10 დეკემბერს, დირექტორებმა გადაწყვიტეს, რომ დანადგარი ამოეღოთ ექსპლუატაციიდან. დანადგარის საბალანსო ღირებულება 20X2 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 1,472 ფე, ჩართულია მოწყობილობებისა და აღჭურვილობის კლასში, ხოლო სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს ამ დანადგარის შესყიდვასთან დაკავშირებულ ჯგუფის დარჩენილ ვალდებულებას 1,550ფე-ს. ვინაიდან მოსალოდნელია, რომ დანადგარის გასხვისებით მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივის და მასთან დაკავშირებული ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

15. არამატერიალური აქტივები

პროგრამული უზრუნველყოფა:

თვითღირებულება	<i>37</i>
20X2 წლის 1-ლი იანვარი	8 500
შემოსვლა	–
გასვლა	–
20X2 წლის 31 დეკემბერი	<u>8,500</u>
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	
20X2 წლის 1-ლი იანვარი	5,950
წლიური ცვეთა (ჩართულია ადმინისტრაციულ ხარჯებში)	1,700
20X2 წლის 31 დეკემბერი	<u>7,650</u>
საბალანსო ღირებულება	
20X2 წლის 31 დეკემბერი	<u>850</u>

16. გადავადებული გადასახადი

შვილობილ და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებულ ინვესტიციებთან დაკავშირებით, მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და საგადასახადო ორგანოებისთვის წარდგენილ თანხებს შორის სხვაობა უმნიშვნელოა.

გადავადებული საგადასახადო აქტივები წარმოადგენს მომავალში მოგების გადასახადის შემცირების შედეგად მოსალოდნელი სარგებლის საგადასახადო შედეგებს, რომლებიც უკავშირდება შემდეგ მუხლებს:

- (ა) გასამრჯელო ხანგრძლივი მუშაობის სტაჟისათვის (მე-20 შენიშვნა), რომელიც არ ექვემდებარება საგადასახადო მიზნისთვის გამოქვითვას იმ დრომდე, სანამ არ მოხდება გასამრჯელოს ფაქტობრივად გადახდა, მაგრამ უკვე აღიარებულია ხარჯად ჯგუფის მიმდინარე წლის მოგების განსაზღვრისას;
- (ბ) სავაჭრო ვალდებულებებზე საკურსო სხვაობის შედეგად მიღებული ზარალი, რომელიც არ ექვემდებარება საგადასახადო მიზნისთვის გამოქვითვას იმ დრომდე,

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

სანამ ვალდებულება არ დაიფარება, მაგრამ უკვე აღიარებულია, როგორც ხარჯი ჯგუფის მიმდინარე წლის მოგების განსაზღვრისას.

ხელმძღვანელობამ მიიჩნია, რომ მომავალში მოსალოდნელია დასაბეგრი მოგების არსებობა, რომლის მიმართაც შესაძლებელი იქნება სამომავლო მოგების გადასახადის განსაზღვრისას გამოქვითვების გამოყენება.

შემდეგი წარმოადგენს ჯგუფის მიერ აღიარებულ გადავადებულ საგადასახადო ვალდებულებებს (აქტივებს):

	<i>პროგრამული უზრუნველყოფა</i>	<i>საკურსო სხვაობების შედეგად მიღებული ზარალი</i>	<i>ხანგრძლივი მუშაობის სტაჟისთვის გასამრჯელო</i>	<i>მთლიან ად</i>
	<i>ფი</i>	<i>ფი</i>	<i>ფი</i>	<i>ფი</i>
20X1 წლის 1-ლი იანვარი	1,700	–	(3,855)	(2,155)
მიმდინარე წლის მოგებაში ან ზარალში აღიარებული ხარჯი (კრედიტი)	(680)	–	(77)	(757)
20X2 წლის 1-ლი იანვარი	1,020	–	(3,932)	(2,912)
მიმდინარე წლის მოგებაში ან ზარალში აღიარებული ხარჯი (კრედიტი)	(680)	(400)	(317)	(1,397)
20X2 წლის 31 დეკემბერი	340	(400)	(4,249)	(4,309)

საკურსო სხვაობის შედეგად მიღებულ ზარალსა და ხანგრძლივი მუშაობის სტაჟის გასამრჯელოსთან დაკავშირებული გადავადებული საგადასახადო აქტივები და პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული გადავადებული საგადასახადო ვალდებულება უკავშირდება ერთი და იმავე იურისდიქციის მოგების გადასახადს და კანონით ნებადართულია ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორება. ამგვარად, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განხორციელდა მათი ურთიერთგადაფარვა შემდეგნაირად:

	<i>20X2</i>	<i>20X1</i>
	<i>ფი</i>	<i>ფი</i>
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	340	1,020
გადავადებული საგადასახადო აქტივი	(4,649)	(3,932)
	<u>(4,309)</u>	<u>(4,309)</u>

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

17. ბანკის ოვერდრაფტი და სესხი

	20X2	20X1
	<i>ფ</i>	<i>ფ</i>
ბანკის ოვერდრაფტი	83,600	115,507
ბანკის სესხი—სრულად დაფარვის ვადაა 20X4 წელი, წინასწარ გადახდაზე ჯარიმა გათვალისწინებული არ არის	50,000	150,000
	<u>133,600</u>	<u>265,507</u>

ბანკის ოვერდრაფტი და სესხი უზრუნველყოფილია ცვალებადი გირაოთი ჯგუფის საკუთრებაში არსებულ მიწაზე და შენობა-ნაგებობებზე, რომლის საბალანსო ღირებულება 20X2 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 266,000ფ-ს (20X1 წლის 31 დეკემბრისათვის 412,000ფ-ს).

ბანკის ოვერდრაფტზე პროცენტის გადახდა ხდება ლონდონის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთზე (LIBOR) 200 საბაზისო პუნქტის დამატებით. 7-წლიან საბანკო სესხზე პროცენტი გადასახდელია ფიქსირებული განაკვეთით, ძირითადი თანხის 5%-ის ოდენობით.

18. სავაჭრო ვალდებულებები

20X2 წლის 31 დეკემბრისათვის სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს 42,600ფ-ს, რომელიც გამოსახულია უცხოურ ვალუტებში (0 ფე 20X1 წლის 31 დეკემბრისათვის).

19. ანარიცხები საგარანტიო მომსახურების ვალდებულებებისთვის

20X2 წლის განმავლობაში ცვლილებები საგარანტიო მომსახურებების ვალდებულებების ანარიცხებში:

	20X2
	<i>ფ</i>
20X2 წლის 1-ლი იანვარი	5,040
დამატებითი დარიცხვა წლის განმავლობაში	5,260
მიმდინარე წელს გარანტიით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების და პროდუქციის შეცვლის დანახარჯი	(6,100)
20X2 წლის 31 დეკემბერი	<u>4,200</u>

ვალდებულება კლასიფიცირებულია მოკლევადიან ვალდებულებად, რადგან გარანტია შესაბამისი საქონლის გაყიდვის თარიღიდან შეზღუდულია 12 თვით.

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

20. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ვალდებულება—ხანგრძლივი მუშაობის სტაჟისათვის ვალდებულება

ჯგუფის დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია სავალდებულო სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ხანგრძლივი მუშაობის სტაჟის გასამრჯელოსთან, ეფუძნება 20X2 წლის 31 დეკემბერს განხორციელებულ სრულ აქტუარულ შეფასებას:

	20X2
	ფე
ვალდებულება 20X2 წლის 1-ელ იანვარს	9,830
დამატებითი დარიცხვა წლის განმავლობაში	7,033
გასამრჯელოების გადახდა წლის განმავლობაში	(6,240)
ვალდებულება 20X2 წლის 31 დეკემბერს	<u>10,623</u>

ვალდებულებები კლასიფიცირებულია შემდეგნაირად:

	20X2	20X1
	ფე	ფე
მოკლევადიანი ვალდებულება	4,944	4,754
გრძელვადიანი ვალდებულება	5,679	5,076
მთლიანად	<u>10,623</u>	<u>9,830</u>

21. ფინანსური იჯარის ვალდებულებები

ჯგუფს ხუთწლიანი ფინანსური იჯარით აღებული აქვს სპეციალიზებული დანადგარი, რომლის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადა 5 წელია. მომავალში გადასახდელი მინიმალური საიჯარო გადასახდელები შემდეგი სახითაა წარმოდგენილი:

	20X2	20X1
	ფე	ფე
ერთი წლის განმავლობაში	25,000	25,000
ერთი წლის შემდეგ მაგრამ ხუთი წლის განმავლობაში	25,000	50,000
ხუთი წლის შემდეგ	-	-
	<u>50,000</u>	<u>75,000</u>

ვალდებულებები კლასიფიცირებულია შემდეგნაირად:

	20X2	20X1
	ფე	ფე
მოკლევადიანი ვალდებულება	21,461	19,884
გრძელვადიანი ვალდებულება	23,163	44,624
	<u>44,624</u>	<u>64,508</u>

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

22. საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარის ვალდებულებები

ჯგუფს საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარით აღებული აქვს რამდენიმე სარეალიზაციო ოფისი. იჯარების იჯარის საშუალო ვადა სამი წელია, ამავე ვადაში ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების გადახდით.

	20X2	20X1
	<i>ფე</i>	<i>ფე</i>
მიმდინარე წელს ხარჯად აღიარებული ჩვეულებრივი იჯარით გათვალისწინებული მინიმალური საიჯარო გადასახდელები	26,100	26,100

წლის ბოლოს, ჯგუფს გააჩნია შეუქცევადი საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარის ვალდებულებების დაუფარავი ნაშთები, რომელთა დაფარვის ვადებია:

	20X2	20X1
	<i>ფე</i>	<i>ფე</i>
ერთი წლის განმავლობაში	13,050	26,100
ერთი წლის შემდეგ მაგრამ ხუთი წლის განმავლობაში	–	13,050
ხუთი წლის შემდეგ	–	–
	<u>13,050</u>	<u>39,150</u>

23. სააქციო კაპიტალი

20X2 წლისა და 20X1 წლის 31 დეკემბრისთვის სააქციო კაპიტალის ნაშთი შეადგენს 30,000ფე-ს, რომელიც შედგება სრულად ანაზღაურებული, გამოშვებული და მიმოქცევაში მყოფი 30,000 ჩვეულებრივი აქციისგან. ერთი აქციის ნომინალური ღირებულებაა 1.00ფე. იურიდიულად ნებადართულია დამატებით 70,000 აქციის გამოშვება, რომელიც ჯერ არ არის გამოშვებული.

24. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	20X2	20X1
	<i>ფე</i>	<i>ფე</i>
ნაღდი ფული	28,700	22,075
ოვერდრაფტები	(83,600)	(115,507)
	<u>(54,900)</u>	<u>(93,432)</u>

25. პირობითი ვალდებულებები

20X2 წლის განმავლობაში მომხმარებელმა სასამართლოში შეიტანა სარჩელი შპს XYZ-ის წინააღმდეგ, წუნდებული სანთლით გამოწვეული ხანძრის გამო. მომხმარებელი ამტკიცებს, რომ მისმა ზარალმა მთლიანად 50,000ფე შეადგინა და სასამართლოს მიმართა ამ თანხის მისაღებად.

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ჯგუფის იურიდიულ კონსულტანტს მიაჩნია, რომ ბრალდება დაუსაბუთებელია და კომპანიას განზრახული აქვს გაასაჩივროს ის. ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ აღიარებულა, რადგან ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მოსალოდნელი არ არის ზარალის წარმოქმნა.

26. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

20X3 წლის 25 იანვარს, წყალდიდობის შედეგად დაიტბორა სანთლების ერთ-ერთი საწყობი. მოსალოდნელია რომ რემონტის ხარჯი იქნება 36,000 ფე. ზარალის სადაზღვეო ანაზღაურება არის დაახლოებით 16,000 ფე.

20X3 წლის 14 თებერვალს დირექტორებმა მხარი დაუჭირეს ერთ აქციაზე 1.00 ფე-ის ოდენობის დივიდენდის (30,000ფე მთლიანად) გამოცხადებას, რომელიც 20X3 წლის 15 აპრილს უნდა გაიცეს 20X3 წლის 31 მარტს რეგისტრირებულ აქციონერებზე. ვინაიდან, ვალდებულება წარმოიშვა 20X3 წელს, იგი ასახული არ არის 20X2 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

27. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

ოპერაციები კომპანიასა და შვილობილ საწარმოს შორის, რომელიც მისი დაკავშირებული მხარეა, ელიმინირებულია კონსოლიდაციის დროს.

ჯგუფმა თავის მეკავშირე საწარმოზე (იხ. შენიშვნა 13), რომელიც დაკავშირებული მხარეა გაყიდა საქონელი შემდეგი ოდენობით:

	საქონლის გაყიდვა		დაკავშირებული მხარის დავალიანების თანხები ჯგუფის მიმართ, რომელიც წლის ბოლოს ასახულია სავაჭრო მოთხოვნებში	
	20X2	20X1	20X2	20X1
	ფე	ფე	ფე	ფე
მეკავშირე საწარმო	10,000	8,000	800	400

ფინანსური იჯარით (იხ. 21-ე შენიშვნა) გათვალისწინებული თანხების გადახდა პირადად არის გარანტირებული კომპანიის მთავარი აქციონერების მიერ. ამ გარანტიისათვის არ მოითხოვება რაიმე დანახარჯების გაწევა.

20X2 წელს დირექტორებისა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის სხვა პირების შრომის ანაზღაურებამ მთლიანად შეადგინა 249,918 ფე (20X1: 208,260 ფე).

28. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორთა საბჭოს მიერ 20X3 წლის 10 მარტს.

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ

- 8.5 საწარმომ მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მოკლე მიმოხილვაში უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:
- (ა) ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული შეფასების საფუძველი (ან საფუძველები); და
 - (ბ) ყველა სხვა გამოყენებული სპეციფიკური სააღრიცხვო პოლიტიკის აღწერა, რომელიც მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგების გასაგებად.

მაგალითი— ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ

მაგ. 2 A ჯგუფმა, რომელიც აწარმოებს სანთლებს, სააღრიცხვო პოლიტიკა გაამჟღავნა შემდეგნაირად:

შპს XYZ

სააღრიცხვო პოლიტიკა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 20X2 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება აერთიანებს კომპანიისა და მის მიერ სრულად ფლობილი შვილობილი საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებებს. ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირებულია ყველა შიდაჯგუფური ოპერაცია, ნაშთი, შემოსავალი და ხარჯი.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში აღრიცხულია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციებიდან მიღებული დივიდენდები მაშინ აღიარდება, როდესაც ძალაში შევა ჯგუფის უფლება დივიდენდების მიღების შესახებ. იგი აისახება სხვა შემოსავლის მუხლში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი და გადაეცემა საკუთრების უფლება. სხვა მწარმოებლებზე სანთლების წარმოებაზე პატენტის გადაცემის შედეგად როიალტის სახით მიღებული ამონაგები აღიარდება შესაბამისი სალიცენზიო ხელშეკრულების თანახმად. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და A ქვეყნის მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებისა და გადავადებული გადასახადის ჯამს.

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში მიღებულ დასაბეგრ მოგებას.

გადავადებული გადასახადი აღიარდება ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და მათ შესაბამის საგადასახადო ბაზებს შორის სხვაობასთან (ე.წ. დროებითი სხვაობა) მიმართებით. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება ყველა დროებითი სხვაობის მიხედვით, რომელიც მოსალოდნელია, რომ მომავალში გაზრდის საგადასახადო მოგებას, როდესაც აქტივის საბალანსო ღირებულების ამოღება ან ვალდებულების საბალანსო ღირებულების დაფარვა მოხდება (დასაბეგრი დროებითი სხვაობები). გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარდება ყველა დროებითი სხვაობის მიხედვით, რომელიც მოსალოდნელია, რომ მომავალში შეამცირებს საგადასახადო მოგებას, როდესაც აქტივის საბალანსო ღირებულების ამოღება ან ვალდებულების საბალანსო ღირებულების დაფარვა მოხდება (გამოსაქვითი დროებითი სხვაობები) მაგრამ, მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ მომავალში მოსალოდნელია დასაბეგრი მოგების არსებობა, რომლის მიმართაც შესაძლებელი იქნება გამოსაქვითი დროებითი სხვაობის გამოყენება.

გადავადებული საგადასახადო აქტივის საბალანსო ღირებულება გადაიხედება თითოეულ საანგარიშგებო პერიოდში და კორექტირდება მომავალი საგადასახადო მოგებების მიმდინარე შეფასების ასახვის მიზნით. ნებისმიერი კორექტირება აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

გადავადებული გადასახადი გამოითვლება იმ საგადასახადო განაკვეთების მიხედვით, რომლებიც, სავარაუდოდ, გავრცელდება იმ პერიოდების საგადასახადო მოგებაზე (საგადასახადო ზარალზე), როდესაც საწარმო მოელის გადავადებული საგადასახადო აქტივის გამოყენებას, ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულების დაფარვას და საანგარიშგებო თარიღისთვის უკვე ძალაში შესულია ან არსებითად ძალაში შესულია.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეული ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	2%
მოწყობილობები და აღჭურვილობა	10–30%

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით, აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ხუთ წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ამორტიზაცია შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების მაჩვენებელი, ხდება აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფი) ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება და შედარება მის საბალანსო ღირებულებასთან. იმ შემთხვევაში თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება მცირდება შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

სარგებლის გადაცემა ხდება ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ მიღწეულ იქნეს მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები გამოაკლდება მოგებისა და ზარალის განსაზღვრისას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება გამოითვლება პირველი შემოსავალში, პირველი გასავალში (ფიფო) მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო ვადა აღემატება სტანდარტულ საკრედიტო ვადას, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება უნდა გადაისინჯოს, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მოთხოვნები არ არის ამოღებადი. იმ შემთხვევაში თუ ასეთი მტკიცებულება არსებობს, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები—ხანგრძლივი მუშაობის სტაჟისათვის ვალდებულება

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოს ვალდებულებები უკავშირდება სავალდებულო სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ხანგრძლივი მუშაობის სტაჟის გასამრჯელოს. ეს პროგრამა ვრცელდება სრულ განაკვეთზე მომუშავე ყველა თანამშრომელზე, გარდა დირექტორებისა. გასამრჯელოს გადახდა ხდება მუშაობის ყოველი ხუთი წლის ბოლოს, ხელფასის 5 პროცენტის ოდენობით (გაანგარიშების ბაზად აიღება გასამრჯელოს გადახდის თარიღის წინა თორმეტი თვის ხელფასი). ჯგუფი აღნიშნულ ვალდებულებას წინასწარ არ აფინანსებს.

ჯგუფის დანახარჯები და ვალდებულება, რომ დაქირავებულ მომუშავეებს გადაუხადოს გასამრჯელოები ხანგრძლივი მუშაობის სტაჟისთვის, აღიარდება მომუშავეთა დასაქმების პერიოდებში. ზემოაღნიშნული დანახარჯებისა და ვალდებულების შეფასება ხდება პროგნოზირებული პირობითი ერთეულის მეთოდის გამოყენებით, საშუალო წლიური ხელფასის 4 პროცენტით ზრდის დაშვებითა და მომუშავეთა დენადობის შესახებ ჯგუფის უახლესი წარსულის გამოცდილების გათვალისწინებით, რომლის დისკონტირება ხდება მაღალი ხარისხის კორპორაციული ობლიგაციების მიმდინარე საბაზრო შემოსავლიანობის საფუძველზე.

ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებებისთვის

ჯგუფის მიერ გაყიდულ ყველა საქონელს ახლავს გარანტია, რომ მას ერთი წლის განმავლობაში არ აღმოაჩნდება საწარმოო წუნი. საქონლის შეკეთებას ან შეცვლას ჯგუფი ახდენს საკუთარი შეხედულებისამებრ. როდესაც აღიარდება შემოსავალი, კეთდება ანარიცხი საგარანტიო მომსახურების ვალდებულების შეფასებული დანახარჯებისათვის.

ინფორმაცია გადაწყვეტილებების შესახებ

8.6 საწარმომ მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მოკლე მიმოხილვაში ან სხვა განმარტებით შენიშვნებში, სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გარდა (იხ. პუნქტი 8.7), უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია იმ გადაწყვეტილებების შესახებ, რომლებიც ხელმძღვანელობამ მიიღო სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში და ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე.

შენიშვნები

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ზოგიერთ შემთხვევაში სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება მოითხოვს მსჯელობას. 8.6 პუნქტის გამჟღავნების მოთხოვნები ცალსახად გამორიცხავს იმ მსჯელობებს, რომლებიც დაკავშირებულია შეფასებებთან, რადგან ისინი განხილულია 8.7 პუნქტში.

საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში, გარდა სააღრიცხვო შეფასებებთან დაკავშირებული მსჯელობებისა, ხელმძღვანელობა იყენებს სხვადასხვა ტიპის მსჯელობას, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე. მაგალითად, ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას რათა განსაზღვროს:

- წარსული მოვლენის შედეგად წარმოქმნილი მიმდინარე ვალდებულების გამო ეკონომიკური სარგებლის გასვლა მოსალოდნელია თუ არა (უფრო შესაძლებელია მისი მოხდენა, ვიდრე არმოხდენა). (აღნიშნული მსჯელობა განსაზღვრავს მიმდინარე ვალდებულება აღიარდება თუ არა).
- ხდება თუ არა საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემა (მსჯელობა განსაზღვრავს იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად, ე.ი მოიჯარის პერსპექტივიდან განისაზღვრება იჯარის ვადის დასაწყისში საწარმო აღიარებს საიჯარო აქტივს და შესაბამის საიჯარო ვალდებულებას (ფინანსური იჯარა), თუ იჯარას აღრიცხავს, როგორც მომავალში შესასრულებელ ხელშეკრულებას (საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარა, ე.ი იჯარის ვადის დასაწყისში არ ხდება იჯარის აღრიცხვა).
- საწარმო მყიდველს როდის გადასცემს გაყიდული საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და ეკონომიკურ სარგებელს (აღნიშნული მსჯელობა, სხვა ფაქტორებთან ერთად განსაზღვრავს, თუ როდის ხდება გაყიდული საქონლიდან ამონაგების აღიარება).
- არის თუ არა საქონლის გაყიდვის კონკრეტული გარიგება არსებითად დაფინანსების ღონისძიება და შესაბამისად გაყიდული საქონელი არ წარმოშობს ამონაგებს (აღნიშნული მსჯელობა განსაზღვრავს საწარმო აღრიცხავს თუ არა ოპერაციას საქონლის გაყიდვად (ე.ი გაყიდული აქტივის აღიარების შეწყვეტა და გაყიდული საქონლიდან ამონაგების აღიარება) ან ფინანსურ ოპერაციად (ე.ი სესხის გამცემის მიმართ ვალდებულების აღიარება).
- ურთიერთობა საწარმოსა და სპეციალური დანიშნულების ეკონომიკურ სუბიერქტს (სდეს) შორის მიუთითებს თუ არა იმაზე, რომ საწარმო აკონტროლებს სდეს-ს (აღნიშნული მსჯელობა განსაზღვრავს სდეს ჩაირთვება თუ არა საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგებაში). და
- მიუთითებს თუ არა საწარმოსა და ინვესტორს შორის ურთიერთობა, რომ საწარმოს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ინვესტორზე (აღნიშნული მსჯელობა განსაზღვრავს აღიარდება თუ არა ინვესტიციები, როგორც მეკავშირე საწარმოში ფლობილი ინვესტიცია).

ყველაზე მნიშვნელოვანი მსჯელობების გამჟღავნება ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს საშუალებას აძლევს გააანალიზოს თუ როგორ გამოიყენება სააღრიცხვო პოლიტიკა და შეადაროს ერთმანეთს საწარმოები, იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რომლითაც ხელმძღვანელობამ გამოიყენა ეს მსჯელობები.

აღნიშნული მსჯელობების შედეგად შესაძლოა მივიღოთ მნიშვნელოვნად განსხვავებული აღრიცხვა. განვიხილოთ, მაგალითად, ზოგიერთი მუხლის საწყისი

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

აღიარების კრიტერიუმებზე მსჯელობების ორი სახის გავლენა. საილუსტრაციოდ, განვიხილოთ მიმდინარე ვალდებულების დაყოფა ანარიცხებად და პირობით ვალდებულებებად. იმ შემთხვევაში, თუ ხელმძღვანელობის მსჯელობის თანახმად, თანაბრად მოსალოდნელია ვალდებულების დაფარვის შედეგად ფულადი სახსრების გადინება ან არგადინება (ე.ი. ორი შესაძლო შედეგი თანაბრად მოსალოდნელია), საწარმო არ აღიარებს ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. თუმცა, თუ გადინების ალბათობა გაიზრდება ყველაზე მცირე ოდენობით (მაგ. იმის ალბათობა, რომ დაფარვა გამოიწვევს გადინებას, იქნება 50.1%), ვალდებულება (ანარიცხი) აღიარდება ვალდებულების დასაფარად საჭირო საუკეთესოდ შეფასებული თანხით. კიდევ ერთ მაგალითს წარმოადგენს აქტივად და პირობით აქტივად დაყოფა. როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა (ე.ი. უფრო შესაძლებელია მისი მოხდენა, ვიდრე არმოხდენა), გამჟღავნდება პირობითი აქტივი, ხოლო აქტივი მხოლოდ მაშინ აღიარდება, როდესაც საწარმოში ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ეჭვს არ იწვევს (იხ. პუნქტი 21.13). მსჯელობები აგრეთვე გამოიყენება აქტივისა და ვალდებულების აღიარებისას ალბათობის შესაფასებლად. თუ მოსალოდნელია, რომ საწარმოში მოხდება მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა, აღიარდება აქტივი და თუ მოსალოდნელია, რომ ანგარიშსწორება გამოიწვევს საწარმოდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას, აღიარდება ვალდებულება (იხ. პუნქტები 2.15(ა) და 2.15(ბ)). ალბათობა გულისხმობს ამ მუხლით გამოწვეული მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლის ან საწარმოდან გასვლის განუსაზღვრელობის ხარისხს (იხ. პუნქტი 2.29).

იმის გამო, რომ *მსს ფასს* სტანდარტი განსაზღვრავს სხვადასხვა შეფასებებს სხვადასხვა კლასიფიკაციისთვის ერთეულებისთვის, აღნიშნული ერთეულების კლასიფიკაციას შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს ერთეულების აღრიცხვაზე. მაგალითისთვის, განვიხილოთ შენობის (რომლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია) საწყისი აღიარების შემდგომი შეფასება, თუ ხელმძღვანელობას გაუჭირდა მისი კლასიფიკაცია (ასეთი სიტუაცია შესაძლოა წარმოიშვას ისეთი ტიპის კომპანიაში, რომელიც იჯარით გასცემს, აშენებს და ყიდის უძრავ ქონებას):

- იმ შემთხვევაში, თუ შენობა საინვესტიციო ქონებაა, ის უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით.
- იმ შემთხვევაში, თუ შენობა წარმოადგენს მარაგს, ის უნდა შეფასდეს თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.
- იმ შემთხვევაში, თუ შენობა ძირითადი საშუალებაა, ის უნდა შეფასდეს თვითღირებულების მოდელით - თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურება (თუ გაუფასურდა) ან გადაფასების მოდელის გამოყენებით - რეალური ღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს შესაბამისი დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ასევე გაითვალისწინეთ, რომ გაუფასურებული ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულება არის უდიდესი მისი გამოყენების ღირებულებასა (საწარმოსთვის სპეციფიკური ღირებულება, რომელიც განსაზღვრულია მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით) და მის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის.

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

როდესაც რთული კლასიფიკაციის შესახებ მსჯელობის ფინანსური ეფექტი არის მნიშვნელოვანი, მარტივია იმის გაგება, თუ რატომ არის ასეთი მსჯელობების შესახებ ინფორმაცია სასარგებლო.

მის ფონდის მიერ მომზადებულ *მს ფასს* სტანდარტის დამხმარე მასალის თითოეული მოდულის მნიშვნელოვანი შეფასებებისა და სხვა მსჯელობების განყოფილება მოიცავს ინფორმაციას მნიშვნელოვანი მსჯელობების შესახებ, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში საჭირო იქნება შესაბამისი მოდულის მოქმედების სფეროში შემავალი ოპერაციებისა და მოვლენების მიმართ საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას.

მაგალითი – ინფორმაცია მნიშვნელოვანი მსჯელობების შესახებ

მაგ. 3 საწარმოს 20X3 წლის 31 დეკემბრის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები შეიცავს საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში გაკეთებული მნიშვნელოვანი მსჯელობების შესახებ შემდეგ ინფორმაციას:

შენიშვნა 4 ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონე მსჯელობები და შეფასებები

4.1 მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

სპეციალური დანიშნულების ეკონომიკური სუბიექტები

20X3 წელს, საწარმომ დააფინანსა სპეციალური დანიშნულების ეკონომიკური სუბიექტის (სდეს) ჩამოყალიბება. სდეს-ი სამ დამოუკიდებელ მესამე მხარეს (და მხოლოდ ამ სამ მხარეს) აძლევს სდეს-ის აქციების ფლობის უფლებას, რათა მოახდინონ ინვესტირება სდეს-ის მიერ ღია ბაზარზე შეძენილ კოტირებული ფინანსური აქტივების დივერსიფიცირებულ პორტფელში. საწარმო სდეს-ის ჩამოყალიბებისთვის და ინვესტიციების მართვის მომსახურებისთვის იღებს საზღაურს.

სდეს-ის კონსოლიდირება ხდება იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს აქვს სდეს-ის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილება. რთულია იმის განსაზღვრა ახორციელებს თუ არა საწარმო კონტროლს სდეს-ზე. შესაბამისად გამოყენებულ იქნა მსჯელობები რისკებისა და სარგებელის და აგრეთვე საწარმოს მიერ სდეს-ის საოპერაციო პოლიტიკასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობის შესახებ. აღნიშნული მსჯელობები მოიცავს შემდეგის შეფასებას:

- (ა) სდეს-ის აქტივობები არის თუ არა განხორციელებული საწარმოს სასარგებლოდ, მისი კონკრეტული ბიზნესის საჭიროების გათვალისწინებით;
- (ბ) საწარმოს აქვს თუ არა სდეს-ის აქტივობებზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლება, იმ შემთხვევაშიც, თუ ყოველდღიური გადაწყვეტილებების მიღება დელეგირებულია.
- (გ) საწარმოს აქვს თუ არა უფლება მიიღოს სდეს-დან სარგებლის უმრავლესობა და შესაბამისად ექვემდებარება სდეს-ის აქტივობებთან დაკავშირებულ რისკებს; და
- (დ) საწარმო ინარჩუნებს თუ არა სდეს-თან ან მის აქტივობებთან დაკავშირებულ საკუთრების ან ნარჩენ რისკებს.

ფაქტებისა და გარემოებების შეფასების საფუძველზე (ზემოთ აღნიშნული ოთხი ინდიკატორის ჩათვლით), ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა რომ სდეს-ის აქტივების ფლობით გამოწვეული რისკები და სარგებელი პირდაპირ მიეკუთვნება სამ

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ინვესტორს. შესაბამისად, საწარმომ არ მოახდინა სდეს-ის ჩართვა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში.

დეკონსოლიდაცია

საწარმო ფლობს სხვა საწარმოს (Y საწარმო) მთლიან კაპიტალს. 20X3 წლის იანვრის დასაწყისიდან, იმ იურისდიქციის სახელმწიფო ორგანოები, რომელშიც საწარმო საქმიანობს, ჩარეულია Y საწარმოს საოპერაციო და ფინანსურ პოლიტიკაში, აქედან გამომდინარე, ხელმძღვანელობას არ შეუძლია დაამტკიცოს, რომ 20X3 წლის განმავლობაში საწარმო აკონტროლებდა Y საწარმოს. იურისდიქციაში პოლიტიკური გარემო არასტაბილურია და მოვლენების განვითარებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს სააღრიცხვო მიდგომაზე და ასევე Y საწარმოში განხორციელებული ინვესტიციების საბალანსო ღირებულებაზე. ფაქტებისა და გარემოებების შეფასების საფუძველზე ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ 20X3 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში არ ჩართოს Y საწარმო.

სარჩელი

საწარმო თავს იცავს ადამიანთა ჯგუფის მიერ მის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელისგან. ადამიანთა ჯგუფი ერთობლივად ცდილობს მიიღოს კომპენსაცია, მათი ჯანმრთელობისთვის მიწის დაზინძურებით მიყენებული ზიანისთვის, რაც მათი რწმენით წარმოიქმნა საწარმოს წარმოების პროცესის შედეგად გამოყოფილი ნარჩენებით. სადაოა, წარმოადგენს თუ არა საწარმო დაზინძურების წყაროს, რადგან ბევრი სხვა საწარმო ახორციელებს მსგავსი ნარჩენების გამოყოფას იგივე მიწაზე და გაჟონვის წყარო ცალსახა არ არის. ხელმძღვანელობა უარყოფს რაიმე არასწორ ქმედებას და მტკიცედ იცავს საკუთარ პოზიციას, რადგან მას მიღებული ქონდა გარკვეული ზომები მსგავსი გაჟონვების თავიდან ასაცილებლად. თუმცა, ამავდროულად, ხელმძღვანელობა არ არის დარწმუნებული რომ გაჟონვა მათი ქარხნიდან არ იყო გამოწვეული. ნამდვილი დამნაშავე გამოვლინდება მხოლოდ ხანგრძლივი გამოძიების შედეგად. საწარმოს იურიდიული მრჩეველი ელოდება რომ სასამართლო გადაწყვეტილება მიღებული იქნება 2 წლის განმავლობაში. ხელმძღვანელობის აზრით, არსებული მტკიცებულების შეფასების საფუძველზე, სავარაუდოა, რომ საწარმო წარმატებით დაიცავს თავს სასამართლო დავაზე და შესაბამისად, საწარმოს 20X3 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობის ანგარიშგებაში ის არ აღიარებს ვალდებულებას. სავარაუდო ვალდებულების არსებობის შესახებ ინფორმაცია გამჟღავნებულია 25-ე შენიშვნაში.

იჯარის კლასიფიკაცია

იჯარა წარმოადგენს ფინანსურ იჯარას, თუ ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი გადაეცემა მესაკუთრეს. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარად. 20X3 წლის 1-ელ ივლისს საწარმომ (როგორც მოიჯარემ) თვითმფრინავის გამოყენებაზე გააფორმა ხელშეკრულება დამოუკიდებელ მესამე მხარესთან. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს, რომ საჭიროა მსჯელობა იმის შესაფასებლად საწარმოს გადაეცა თუ არა საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკი და სარგებელი. ყველა ფაქტისა და მოვლენების გათვალისწინების შემდგომ ხელმძღვანელობა იჯარას აფასებს საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარად და შესაბამისად აღრიცხავს, როგორც მომავალში შესასრულებელ ხელშეკრულებას. იმ შემთხვევაში, თუ იჯარა შეფასდებოდა ფინანსურ იჯარად, საწარმო ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებდა საიჯარო აქტივს და შესაბამის საიჯარო ვალდებულებას, ხოლო საიჯარო

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

გადასახდელი განაწილებოდა ფინანსურ ხარჯებსა და ვალდებულებების დაფარვას შორის. ასევე საიჯარო აქტივის გაცვეთა მოხდებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. საწარმოს ვალდებულება თვითმფრინავის გამოყენებისთვის შეუქცევადი საიჯარო გადახდების განხორციელების შესახებ ასახულია მე-40 განმარტებით შენიშვნაში.

ინფორმაცია განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროების შესახებ

- 8.7 საწარმომ განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია მომავალთან დაკავშირებით გამოყენებული ძირითადი დაშვებებისა და აგრეთვე **საანგარიშგებო თარიღისათვის განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული სხვა ძირითადი წყაროების შესახებ**, რომელთა გამოც არსებობს **აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების არსებითი** კორექტირების რისკი მომდევნო ფინანსურ წელს. ამ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებით განმარტებით შენიშვნები უნდა აისახოს ინფორმაცია მათი:
- (ა) შინაარსის შესახებ; და
 - (ბ) საბალანსო ღირებულების შესახებ **საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის**.

შენიშვნები

ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულების საბალანსო ღირებულების განსაზღვრა მოითხოვს საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის ამ აქტივებსა და ვალდებულებებზე მომავალი განუსაზღვრელი მოვლენების გავლენის შეფასებას. მაგალითად, აქტიურ ბაზარზე უახლესი ფასების არარსებობის შემთხვევაში, მომავალზე ორიენტირებული შეფასებები არის საჭირო, რათა მოხდეს მათი გამოყენება შემდეგი აქტივებისა და ვალდებულებების შეფასებისთვის: ძირითადი საშუალებების კლასების ანაზღაურებადი ღირებულება, მარაგების ტექნოლოგიური მოძველება, პროცესში არსებული სამართალწარმოების მომავალი შედეგები და დაქირავებულ პირთა გასამჯელოების გრძელვადიანი ვალდებულებები, ისეთი როგორცაა საპენსიო ვალდებულებები. აღნიშნული შეფასებები გულისხმობს დაშვებებს ისეთი მუხლების შესახებ, როგორცაა რისკის გამო ფულადი ნაკადების ან გამოყენებულ დისკონტირების განაკვეთების კორექტირება, მომავალი სახელფასო ცვლილებები და მომავალი ფასების ცვლილებები, რომელიც გავლენას ახდენს ხარჯებზე. არ აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რამდენად გულმოდგინედ აფასებს საწარმო საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას, რომელიც შეფასების მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობით ხასიათდება, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წერტილოვანი შეფასების ასახვა არ ასახავს ინფორმაციას აღნიშნული აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების განუსაზღვრელობებისა და აღნიშნული განუსაზღვრელობების პერიოდის მოგებასა და ზარალზე გავლენის შესახებ.

საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის დაშვებებისა და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული სხვა მნიშვნელოვანი წყაროების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება, ზრდის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაციის

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შესაბამისობას, საიმედოობასა და აღქმადობას. აღნიშნული დაშვებებსა და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებულ წყაროებს აქვთ იმის მნიშვნელოვანი რისკი რომ მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში გამოიწვევენ აქტივებისა და ვალდებულებების არსებით კორექტირებებს. აქედან გამომდინარე, ძირითად შემთხვევებში 8.7 პუნქტის შესაბამისად განმარტებითი შენიშვნები მზადდება შედარებით მცირე რაოდენობის აქტივებისა და ვალდებულებებისათვის (ან მათი კლასებისათვის).

განმარტებითი შენიშვნები არ მზადდება იმ აქტივებსა და ვალდებულებებზე, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით, აქტიურ ბაზარზე დაკვირვებადი ფასების გამოყენებით. აქტიური ბაზარი არის ბაზარი, სადაც ოპერაციები აქტივებისა და ვალდებულებებისთვის ხდება საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ფასების შესახებ ინფორმაცია ნებისმიერ დროს. როდესაც აქტივებისა და ვალდებულებების შეფასება ხდება რეალური ღირებულებით, აქტიურ ბაზარზე დაკვირვებადი ფასების გამოყენებით, საბალანსო ღირებულების მომავალი ცვლილებები არ წარმოიქმნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის აქტივებისა და ვალდებულებების შესაფასებლად შეფასებების გამოყენებით. აქტივებისა და ვალდებულებების შესაფასებლად აქტიურ ბაზარზე დაკვირვებადი ფასების გამოყენება თავიდან გვაცხადებს საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის შეფასებების გაკეთების საჭიროებას. საბაზრო ფასები ასახავს საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის რეალურ ღირებულებას, მიუხედავად იმისა, რომ მომავალი საბაზრო ფასები შესაძლოა მნიშვნელოვნად განსხვავებული იყოს. სხვა სიტყვებით, ასეთი რეალური ღირებულება შესაძლოა არსებითად შეიცვალოს მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში, მაგრამ აღნიშნული ცვლილებები არ წარმოიქმნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს გამოყენებული დაშვებების ან განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული სხვა მნიშვნელოვანი წყაროების გამო. რეალური ღირებულების შეფასების მიზანია, ასახოს რეალური ღირებულება შეფასების თარიღისთვის და არა მომავალი ღირებულების პროგნოზირება.

გარდა ამისა, აღნიშნული აქტივებისა და ვალდებულებებისათვის განმარტებითი შენიშვნები უნდა მოიცავდეს დეტალებს საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის მათი შინაარსის და საბალანსო ღირებულების შესახებ, *მსს ფასს* სტანდარტი არ განსაზღვრავს განმარტებითი შენიშვნების კონკრეტულ ფორმასა თუ დეტალებს. ყველა კომპანიის მდგომარეობა განსხვავებულია და საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის შეფასების განუსაზღვრელობა თავისი შინაარსით მრავალ ასპექტს მოიცავს. 8.7 პუნქტი ზღუდავს განმარტებითი შენიშვნების მოქმედების სფეროს, იმ მუხლებამდე, რომელთაც გააჩნიათ მნიშვნელოვანი რისკი, რომ მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში გამოიწვევენ აქტივებისა და ვალდებულებების არსებით კორექტირებებს. რაც უფრო ხანგრძლივია მომავალი პერიოდი, რომელსაც უკავშირდება განმარტებითი შენიშვნები, მით მეტია იმ მუხლების რაოდენობა, რომლებიც საჭიროებს გამჟღავნებას და ინფორმაცია, რომელიც გამჟღავნდება კონკრეტული აქტივებისა და ვალდებულებებისთვის იქნება ნაკლებად კონკრეტული. მომდევნო ფინანსურ წელზე ხანგრძლივი პერიოდისთვის ინფორმაციის გამჟღავნებამ, შესაძლოა ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია ბუნდოვანი გახადოს სხვა განმარტებითი შენიშვნებთან შედარებით.

მსს ფონდის მიერ მომზადებულ *მსს ფასს* სტანდარტისთვის დამხმარე მასალის თითოეული მოდულის მნიშვნელოვანი შეფასებებისა და სხვა მსჯელობები განყოფილება ადგენს ინფორმაციას საანგარიშგებო პერიოდისთვის მომავალთან დაკავშირებული ძირითადი დაშვებების და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებულ სხვა ძირითადი წყაროების შესახებ, რომელთაც შესაძლოა გააჩნდეთ მნიშვნელოვანი რისკი მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში გამოიწვიონ შესაბამისი მოდულის მოქმედების სფეროში შემავალი აქტივებისა და ვალდებულებების არსებითი კორექტირებები.

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

მაგალითი –ინფორმაცია განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროების შესახებ

ინფორმაცია განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროების შესახებ შესაძლოა გამჟღავნდეს შემდეგნაირად:

შენიშვნა 4 მსჯელობები და შეფასებები, რომლებსაც აქვს ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა

...

4.2 განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

წარმოებული ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებიც იყიდება არასაბირჟო ბაზრებზე

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც არ წარმოადგენენ ძირითად ფინანსურ ინსტრუმენტებს (იხ. შენიშვნა 12) აღირიცხება რეალური ღირებულებით, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით. როდესაც არ არსებობს აქტიური ბაზარი, ან როდესაც კოტირებული ფასები არ არის სხვაგვარად ხელისაწვდომი, რეალური ღირებულების განსასაზღვრად საჭიროა მსჯელობები.

ასეთ გარემოებებში, რეალური ღირებულება გამოითვლება შეფასების სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, რომელიც მოიცავს დღევანდელი ღირებულების მოდელს, სხვა მოდელებს, რომლებიც დაფუძნებულია დაკვირვებად ამოსავალ მონაცემებზე, და მოდელებს, სადაც ზოგიერთი ამოსავალი მონაცემი არადაკვირვებადია. საწარმოს მიერ არასაბირჟო ბაზარზე მბრუნავი წარმოებული ინსტრუმენტის, მათ შორის საკრედიტო წარმოებულისა და არაკოტირებული ფასიანი ქაღალდების, რომელიც შეიცავს ჩართულ წარმოებულს, შესაფასებლად გამოიყენება შეფასების მოდელები. შეფასების ყველა მოდელი დამოწმებულია მათ გამოყენებამდე და ამის შემდგომ, პერიოდულად გადაიხედება ფინანსური ინსტრუმენტების შემფასებელი დამოუკიდებელი კვალიფიციური ექსპერტების მიერ. იმისათვის რომ შემოწმდეს და გაანალიზდეს ჩვენი მოდელები, როდესაც შესაძლებელია, მოდელებიდან მიღებული შეფასებების შედარება ხდება მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტების კოტირებულ ფასებთან და ფაქტიურ ღირებულებებთან, როდესაც ხდება მათი რეალიზება.

20X2 წლის 31 დეკემბერს წარმოებული ინსტრუმენტის საბალანსო ღირებულება, რომელიც ივაჭრება არასაბირჟო ბაზრებზე, არის 2,000,000 ფე (20X1 წლის 31 დეკემბერი: 1,500,000 ფე). ინფორმაცია შეფასების მეთოდებისა და გამოყენებული დაშვებების შესახებ წარმოდგენილია მე-12 შენიშვნაში. ხელმძღვანელობამ შეაფასა რეალურ ღირებულებებზე რა გავლენა ექნება გონივრულობის ფარგლებში დაშვებების მოსალოდნელ ცვლილებებს, როდესაც მოდელის ამოსავალი მონაცემები არ არის ბაზარზე დაკვირვებადი. მიგვაჩნია, რომ არასაბირჟო ბაზრებზე მბრუნავი წარმოებული ინსტრუმენტებისთვის რეალური ღირებულება შესაძლოა იყოს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ რეალურ ღირებულებაზე, 2,000,000 ფე-ზე (იხ. მე-12 შენიშვნა), 200,000 ფე-ით მაღლა ან დაბლა შუალედში.

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შედარება ფასს სტანდარტების სრულ ვერსიასთან

2017 წლის 1-ლი იანვრის შემდგომ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის, ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის წარდგენის მოთხოვნებში ძირითადი განსხვავება ფასს სტანდარტების სრულ ვერსიასა (იხ. ბასს 1 – „*ფინანსური ანგარიშგების წარდგენა*“) და *მსს ფასს* სტანდარტს (იხ. განყოფილება 8 – „*ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები*“) შორის არის:

- *მსს ფასს* სტანდარტი შედგენილია უფრო მარტივ ენაზე, ვიდრე ფასს სტანდარტების სრული ვერსია.
- სრული ფასს სტანდარტი აცხადებს რომ 8.7 პუნქტის განმარტებითი შენიშვნები არ არის საჭირო იმ აქტივებისა და ვალდებულებებისთვის, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით, აქტიურ ბაზარზე იდენტური აქტივის ან ვალდებულების კოტირებულ ფასის საფუძველზე. *მსს ფასს* სტანდარტი არ შეიცავს აღნიშნულ გათავისუფლებას.
- სრული ფასს სტანდარტი შეიცავს უფრო მეტ მოთხოვნას იმის შესახებ, თუ რა უნდა გაამჟღავნოს საწარმომ 8.7 პუნქტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. *მსს ფასს* სტანდარტი არ შეიცავს ასეთი დონის დეტალებს.
- სრული ფასს სტანდარტების გამჟღავნების მოთხოვნებთან შედარებით *მსს ფასს* სტანდარტის გამჟღავნების მოთხოვნები არსებითად შემცირებულია. შემცირების მიზეზები ოთხი ძირითადი ტიპისაა:
 - (ა) ზოგიერთი განმარტებითი შენიშვნა არ შედის *მსს ფასს* სტანდარტში, რადგან ისინი უკავშირდება ისეთ თემებს, რომლებსაც ფარავს სრული ფასს სტანდარტი, მაგრამ ამოღებულია *მსს ფასს* სტანდარტიდან.
 - (ბ) ზოგიერთი განმარტებითი შენიშვნა არ შედის *მსს ფასს* სტანდარტში, რადგან ისინი უკავშირდება სრული ფასს სტანდარტების აღიარებისა და შეფასების პრინციპებს, რომლებიც *მსს ფასს* სტანდარტში ჩანაცვლებულია გამარტივებების მეშვეობით.
 - (გ) ზოგიერთი განმარტებითი შენიშვნა არ შედის *მსს ფასს* სტანდარტში, რადგან ისინი უკავშირდება სრულ ფასს სტანდარტებში არსებულ პოლიტიკის არჩევანის შესაძლებლობას, რომლებიც არ შედის *მსს ფასს* სტანდარტში; და
 - (დ) ზოგიერთი განმარტებითი შენიშვნა არ შედის *მსს ფასს* სტანდარტში მომხმარებელთა საჭიროებების ან ხარჯ-სარგებლიანობის განხილვის საფუძველზე.

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

უპასუხეთ მოცემულ კითხვებს და შეამოწმეთ თქვენი ცოდნა *მსს ფასს* სტანდარტის გამოყენებით ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში წარსადგენი ინფორმაციის მოთხოვნებთან დაკავშირებით.

ტესტის დასრულების შემდეგ, თქვენი პასუხები შეამოწმეთ ქვემოთ მოცემული პასუხების მიხედვით.

მონიშნეთ უჯრა ყველაზე სწორი პასუხის გვერდით.

კითხვა 1

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები:

- (ა) მოითხოვს მხოლოდ იმ ინფორმაციის გამჟღავნებას, რომელიც *მსს ფასს* სტანდარტის მიხედვით არის აუცილებელი და არ არის წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში ან ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.
- (ბ) შეიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს მე-8 განყოფილება - „*ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები*“ - *მსს ფასს* სტანდარტის სხვა განყოფილებების მითითებების გარეშე.
- (გ) მოითხოვს იმ ინფორმაციის გამჟღავნებას, რომელიც *მსს ფასს* სტანდარტის მიხედვით არის აუცილებელი და არ არის წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში ან ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში და დამატებით ინფორმაციას, რომელიც მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგების გასაგებად.

კითხვა 2

ფინანსურ ანგარიშგებაში მუხლებს შორის და ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნებული ნებისმიერი დაკავშირებულ ინფორმაციაზე მითითება (ურთიერთმითითება):

- (ა) ნებაყოფლობითია.
- (ბ) სავალდებულოა.
- (გ) დამოკიდებულია დარგზე.

კითხვა 3

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნების სისტემატიზებულიად წარდგენა:

- (ა) ნებაყოფლობითია.
- (ბ) სავალდებულოა.
- (გ) სავალდებულოა თუ პრაქტიკულად შესაძლებელია.

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

კითხვა 4

როგორც წესი, განმარტებითი შენიშვნები წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი თანმიმდევრობით:

- (ა) პირველი, განცხადება იმის შესახებ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად.
მეორე, გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება.
მესამე, დამატებითი ინფორმაცია უშუალოდ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მუხლების განმარტებისათვის, ისეთივე თანამიმდევრობით, როგორც წარმოდგენილია თითოეული ანგარიშგება და მისი თითოეული მუხლი.
ბოლოს, სხვა განმარტებები.
- (ბ) პირველი, დამატებითი ინფორმაცია უშუალოდ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მუხლების განმარტებისათვის, ისეთივე თანამიმდევრობით, როგორც წარმოდგენილია თითოეული ანგარიშგება და მისი თითოეული მუხლი.
მეორე, განცხადება იმის შესახებ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად.
მესამე, გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება.
ბოლოს, სხვა განმარტებები.
- (გ) პირველი, დამატებითი ინფორმაცია უშუალოდ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მუხლების განმარტებისათვის, ისეთივე თანამიმდევრობით, როგორც წარმოდგენილია თითოეული ანგარიშგება და მისი თითოეული მუხლი.
მეორე, გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება.
მესამე, განცხადება იმის შესახებ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად.
ბოლოს, სხვა განმარტებები.

კითხვა 5

საწარმომ მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვაში უნდა გაამჟღავნოს:

- (ა) ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული შეფასების საფუძველი (ან საფუძვლები).
- (ბ) *მსს ფასს* სტანდარტში განსაზღვრული ყველა შეფასების საფუძველი, იმის მიუხედავად, საწარმოს მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას იგი გამოყენებულ იქნა თუ არა.
- (გ) ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული შეფასების საფუძველი (ან საფუძვლები) და სხვა სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგების გასაგებად.
- (დ) ყველა შეფასების საფუძველი და საწარმოსთვის ნებადართული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევანი (ე.ი განსაზღვრული *მსს ფასს* სტანდარტში), იმის მიუხედავად, საწარმოს მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას იგი გამოყენებულ იქნა თუ არა.

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

კითხვა 6

განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროების შესახებ განმარტებითი შენიშვნები:

- (ა) ნებაყოფლობითია.
- (ბ) არ მოითხოვება.
- (გ) სავალდებულოა.

კითხვა 7

საწარმოს მიერ განმარტებით შენიშვნებში შეფასებების გამოყენებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გარდა, სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი მსჯელობების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე:

- (ა) ნებაყოფლობითია.
- (ბ) არ მოითხოვება.
- (გ) სავალდებულოა.

კითხვა 8

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი შედის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში?

- (ა) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, სრული შემოსავლის ანგარიშგება, მოგებისა და ზარალის ანგარიშგება (თუ წარდგენილია), მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ერთიანი ანგარიშგება (თუ წარდგენილია), საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება და ფულადი ნაკადების ანგარიშგება.
- (ბ) დამატებითი ინფორმაცია გარდა ინფორმაციისა, რომელიც წარდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში (თუ წარდგენილია), მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ერთიანი ანგარიშგებაში (თუ წარდგენილია), საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში; აგრეთვე აღნიშნულ ანგარიშგებებში წარმოდგენილი მუხლების შინაარსობრივი აღწერა და დეტალიზებული მონაცემები, ასევე ინფორმაცია იმ მუხლების შესახებ, რომლებიც არ აკმაყოფილებს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარების კრიტერიუმებს.
- (გ) ინფორმაცია მხოლოდ იმ მუხლების შესახებ რომლებიც არ აკმაყოფილებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში (თუ წარდგენილია), მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ერთიანი ანგარიშგებაში (თუ წარდგენილია), საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში აღიარების კრიტერიუმებს;

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

პასუხები

კითხვა 1 (გ) იხ. პუნქტი 8.2

კითხვა 2 (ბ) იხ. პუნქტი 8.3

კითხვა 3 (გ) იხ. პუნქტი 8.3

კითხვა 4 (ა) იხ. პუნქტი 8.4

კითხვა 5 (გ) იხ. პუნქტი 8.5

კითხვა 6 (გ) იხ. პუნქტი 8.6

კითხვა 7 (გ) იხ. პუნქტი 8.7

კითხვა 8 (ბ) იხ. ლექსიკონი - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

გამოიყენეთ ცოდნა

გამოიყენეთ *მსს ფასს* სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში წარსადგენი ინფორმაციის მოთხოვნების შესახებ ცოდნა ქვემოთ მოცემული სიტუაციური მაგალითის ამოსახსნელად.

სიტუაციური მაგალითის ამოხსნის დასრულების შემდგომ, შეამოწმეთ თქვენი პასუხები ქვემოთ მოცემული პასუხების მიხედვით.

სიტუაციური მაგალითი

ჯგუფი შედგება კომპანიისგან (შპს XYZ) და სრულ საკუთრებაში მყოფი შვილობილი საწარმოსაგან შპს XYZ (სავაჭრო). მათი ძირითადი საქმიანობაა სანთლების წარმოება და რეალიზაცია. 20X2 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული *მსს ფასს* სტანდარტის შესაბამისად.

თქვენ მოგეთხოვებათ უპასუხოთ თითოეულ კითხვას, რომელიც თან ერთვის ჯგუფის 20X2 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წლიურ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

შენიშვნა: იმისთვის, რომ უპასუხოთ სიტუაციური მაგალითის კითხვებს თქვენ დაგჭირდებათ *მსს ფასს* სტანდარტის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შესახებ ზოგადი ცოდნა.

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შპს XYZ

20X2 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება^(ა)

	შენიშვნები	20X2	20X1
(ბ), (გ)		ფე	ფე
ამონაგები	5	6,863,545	5,808,653
სხვა შემოსავალი	6	88,850	25,000
მზა პროდუქციისა და დაუმთავრებელი წარმოების მარაგების ცვლილებები ^(დ)		3,310	(1,360)
გამოყენებული ნედლეული და მასალები		(4,786,699)	(4,092,185)
დასაქმებულთა ხელფასები და სარგებელი		(936,142)	(879,900)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(272,060)	(221,247)
ძირითადი საშუალებების გაუფასურება		(30,000)	—
სხვა ხარჯები		(249,482)	(145,102)
ფინანსური დანახარჯები	7	(26,366)	(36,712)
მოგება დაბეგრამდე ^(ე)	8	654,956	457,147
მოგების გადასახადის ხარჯი	9	(270,250)	(189,559)
პერიოდის მოგება		384,706	267,588
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		2,171,353	2,003,765
დივიდენდები		(150,000)	(100,000)
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		2,406,059	2,171,353

^ა შეუძლია თუ არა ჯგუფს კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგების ნაცვლად წარადგინოს ორი ანგარიშგება (ე.ი კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება და კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება)?

^ბ როგორც შეიცვლება კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგების წარდგენა, იმ შემთხვევაში თუ 20X2 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფს ექნება შეწყვეტილი ოპერაციები?

^გ როგორ შეიცვლება კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგების წარდგენა, იმ შემთხვევაში თუ ჯგუფს ექნება არასრულად ფლობილი შვილობილი საწარმო?

^დ შეიძლება თუ არა ჯგუფმა აირჩიოს ხარჯების ანალიზი ფუნქციების მიხედვით, ნაცვლად ხარჯების ეკონომიკური შინაარსით ანალიზისა?

^ე მოეთხოვება თუ არა საწარმოს გამჟღავნოს მუხლი - „მოგება დაბეგრამდე“ განცალკევებულად?

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შპს XYZ

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება^(ა) 20X2 წლის 31 დეკემბრისთვის^(ბ)

	შენიშვნები	20X2	20X1	20X0 ^(ა)
აქტივები		<i>ვლ</i>	<i>ვლ</i>	<i>ვლ</i>
მოკლევადიანი აქტივები ^(ი,კ)				
ფულადი სახსრები		28,700	22,075	18,478
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	585,548	573,862	521,234
მარაგები	11	57,381	47,920	45,050
		<u>671,629</u>	<u>643,857</u>	<u>584,762</u>
გრძელვადიანი აქტივები				
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	12	107,500	107,500	107,500
ძირითადი საშუალებები	13	2,549,945	2,401,455	2,186,002
არამატერიალური აქტივები	14	850	2,550	4,250
გადავადებული საგადასახადო აქტივი	15	4,309	2,912	2,155
		<u>2,662,604</u>	<u>2,514,417</u>	<u>2,299,907</u>
სულ აქტივები		<u>3,334,233</u>	<u>3,158,274</u>	<u>2,884,669</u>

³ კრძალავს თუ არა მსს ფასს სტანდარტი „ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების“ ნაცვლად სიტყვა „ბალანსი“-ის გამოყენებას?

^ბ კრძალავს თუ არა მსს ფასს სტანდარტი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წარდგენას მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგების წარდგენამდე?

^მ მოითხოვს თუ არა მსს ფასს სტანდარტი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წარდგენას ყველაზე ადრეული შესადარისი პერიოდის დასაწყისისთვის?

^ი მოკლევადიანი და გრძელვადიანი აქტივებისა და მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებების განცალკევებულად წარდგენის ნაცვლად, შეუძლია თუ არა ჯგუფს წარადგინოს აქტივები და ვალდებულებები მათი ლიკვიდობების გათვალისწინებით?

^კ როდესაც საწარმო წარადგენს აქტივებსა და ვალდებულებებს მათი ლიკვიდობის მიხედვით, ეს უნდა მოხდეს ლიკვიდობის ზრდადობით თუ კლებადობით?

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შპს XYZ

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 20X2 წლის 31 დეკემბრისთვის (გაგრძელება)

	შენიშვნები	20X2	20X1	20X0
ვალდებულებები და კაპიტალი		<i>ფე</i>	<i>ფე</i>	<i>ფე</i>
მიმდინარე ვალდებულებები				
ბანკის ოვერდრაფტი	16	83,600	115,507	20,435
სავაჭრო ვალდებულებები	17	431,480	420,520	412,690
გადასახდელი პროცენტი	7	2,000	1,200	-
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		271,647	190,316	173,211
ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებებისთვის	18	4,200	5,040	2,000
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	19	4,944	4,754	4,571
ფინანსური იჯარის ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი	20	21,461	19,884	18,423
		<u>819,332</u>	<u>757,221</u>	<u>757,221</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ბანკის სესხი	16	50,000	150,000	150,000
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ვალდებულების გრძელვადიანი ნაწილი	19	5,679	5,076	5,066
ფინანსური იჯარის ვალდებულებები	20	23,163	44,624	64,508
		<u>78,842</u>	<u>199,700</u>	<u>219,574</u>
სულ ვალდებულებები		<u>898,174</u>	<u>956,921</u>	<u>850,904</u>
კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	22	30,000	30,000	30,000
გაუნაწილებელი მოგება	4	2,406,059	2,171,353	2,003,765
		<u>2,436,059</u>	<u>2,201,353</u>	<u>2,033,765</u>
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		<u>3,334,233</u>	<u>3,158,274</u>	<u>2,884,669</u>

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შპს XYZ

20X2 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

	შენიშვნები	20X2	20X0
		37	37
პერიოდის მოგება		384,706	267,588
არაფულადი შემოსავლებისა და ხარჯების კორექტირებები:			
არაფულადი ფინანსური დანახარჯები (i)		800	1,200
არაფულადი მოგების გადასახადის ხარჯი (ii)		79,934	16,348
ძირითადი საშუალებების ცვეთა		270,360	219,547
გაუფასურების ზარალი		30,000	—
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია		1,700	1,700
საინვესტიციო საქმიანობაზე მიკუთვნებული ფულადი ნაკადები: ^(ლ)			
შემოსულობა აღჭურვილობის გაყიდვიდან		(63,850)	—
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:			
სავაჭრო და სხვა			
მოთხოვნების კლება (ზრდა)		(11,686)	(52,628)
მარაგების კლება (ზრდა)		(9,461)	(2,870)
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა (კლება) (iii)		10,120	10,870
დაქირავებულ მომუშავეთა მოკლევადიანი და გრძელვადიანი გასამრჯელოების ვალდებულებების ზრდა		793	193
<i>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</i>		<u>693,416</u>	<u>461,948</u>

^ლ მსს ფასს სტანდარტის მიხედვით მოეთხოვება თუ არა ჯგუფს წარადგინოს აღნიშნული ქვესათაურები?

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შპს XYZ

20X2 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება (გაგრძელება)

	შენიშვნები	20X2	20X0
		ფე	ფე
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ფულადი სახსრების შემოსვლა აღჭურვილობის გაყიდვიდან		100,000	—
აღჭურვილობის შესყიდვა		(485,000)	(435,000)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(385,000)	(435,000)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
ფინანსური იჯარის ვალდებულების დაფარვა		(19,884)	(18,423)
სესხების დაფარვა		(100,000)	—
გადახდილი დივიდენდები		(150,000)	(100,000)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(269,884)	(118,423)
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების წმინდა ზრდა (კლება)		38,532	(91,475)
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასაწყისში		(93,432)	(1,957)
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის ბოლოს	23	(54,900)	(93,432)
(i) ფულადი სახსრებით გადახდილი ფინანსური დანახარჯები ^(ა)		25,566	35,512
(ii) ფულადი სახსრებით გადახდილი მოგების გადასახადი ^(ბ)		190,316	173,211
(iii) მოიცავს სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეულ არარეალიზებულ ზარალს		1,000	—

^ა მსს ფასს სტანდარტის მიხედვით მოეთხოვება თუ არა ჯგუფს ნაღდ ფულში გადახდილი ფინანსური დანახარჯების გამჟღავნება განცალკევებულად?

^ბ მსს ფასს სტანდარტის მიხედვით მოეთხოვება თუ არა ჯგუფს ნაღდ ფულში გადახდილი მოგების გადასახადების გამჟღავნება განცალკევებულად?

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შპს XYZ

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
20X2 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს XYZ (პოლიტიკა) შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია A ქვეყანაში. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის _____. ჯგუფი შედგება კომპანიისგან და სრულ საკუთრებაში მყოფი შვილობილი საწარმოსგან - შპს XYZ (სავაჭრო). მათი ძირითადი საქმიანობაა სანთლების წარმოება და რეალიზაცია.

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია A ქვეყნის ფულად ერთეულებში (ფე).

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება აერთიანებს კომპანიისა და მის მიერ სრულად ფლობილი შვილობილი საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებებს. ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირებულია ყველა შიდაჯგუფური ოპერაცია, ნაშთი, შემოსავალი და ხარჯი.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში^()*

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში აღრიცხულია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციებიდან მიღებული დივიდენდები აღიარდება მაშინ, როდესაც ძალაში შევა ჯგუფის უფლება დივიდენდების მიღების შესახებ. იგი აისახება სხვა შემოსავალის მუხლში.

ამონაგების აღიარება

საქონლის რეალიზაციიდან ამონაგები აღიარდება მაშინ, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი და გადაეცემა საკუთრების უფლება. სხვა მწარმოებლებზე სანთლების წარმოების პატენტის გადაცემის შედეგად როიალტის სახით მიღებული ამონაგები აღიარდება შესაბამისი სალიცენზიო ხელშეკრულების თანახმად. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და A ქვეყნის მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

^{*} მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციებისთვის სააღრიცხვო პოლიტიკად კიდევ რა შეფასების საფუძველები შეიძლება გამოიყენოს ჯგუფმა?

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები³⁾

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებისა და გადავადებული გადასახადის ჯამს.

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში მიღებულ დასაბეგრ მოგებას.

გადავადებული გადასახადი აღიარდება ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და მათ შესაბამის საგადასახადო ბაზებს შორის სხვაობასთან (ე.წ. დროებითი სხვაობა) მიმართებით. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება ყველა დროებითი სხვაობის მიხედვით, რომელიც მოსალოდნელია, რომ მომავალში გაზრდის საგადასახადო მოგებას, როდესაც აქტივის საბალანსო ღირებულების ამოღება ან ვალდებულების საბალანსო ღირებულების დაფარვა მოხდება (დასაბეგრი დროებითი სხვაობები). გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარდება ყველა დროებითი სხვაობის მიხედვით, რომელიც მოსალოდნელია, რომ მომავალში შეამცირებს საგადასახადო მოგებას, როდესაც აქტივის საბალანსო ღირებულების ამოღება ან ვალდებულების საბალანსო ღირებულების დაფარვა მოხდება (გამოსაქვითი დროებითი სხვაობები) - მაგრამ, მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ მომავალში მოსალოდნელია დასაბეგრი მოგების არსებობა, რომლის მიმართაც შესაძლებელი იქნება გამოსაქვითი დროებითი სხვაობის გამოყენება.

გადავადებული საგადასახადო აქტივის საბალანსო ღირებულება გადაიხედება თითოეულ საანგარიშგებო პერიოდში და კორექტირდება მომავალი საგადასახადო მოგებების მიმდინარე შეფასების ასახვის მიზნით. ნებისმიერი კორექტირება აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

გადავადებული გადასახადი გამოითვლება იმ საგადასახადო განაკვეთების მიხედვით, რომლებიც, სავარაუდოდ, გავრცელდება იმ პერიოდების საგადასახადო მოგებაზე (საგადასახადო ზარალზე), როდესაც საწარმო მოელის გადავადებული საგადასახადო აქტივის გამოყენებას, ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულების დაფარვას და საანგარიშგებო თარიღისთვის უკვე ძალაში შესულია ან არსებითად ძალაში შესულია.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეული ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	2%
მოწყობილობები და აღჭურვილობა	10–30%

³ შეუძლია თუ არა ჯგუფს შეცვალოს მისი სააღრიცხვო პოლიტიკა ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯებისთვის ისე რომ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია განსაკუთრებული აქტივის შეძენის, მშენებლობის ან წარმოების პროცესთან, ჩართოს ამ აქტივის თვითღირებულებაში (ე.ი შეუძლია თუ არა ჯგუფს აღრიცხოს ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები სრული ფასის სტანდარტების ბასს 23-ის - „ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები“ - მიხედვით)?

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები^{ა)}

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შემენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას რომელიც ასახულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ხუთ წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების მაჩვენებელი, ხდება აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება და შედარება მის საბალანსო ღირებულებასთან. იმ შემთხვევაში თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება მცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა^{ბ)}

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემა ხდება ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური

^{ა)} თუ ჯგუფმა შეიძინა სასაქონლო ნიშანი, რომლის სასიცოცხლო ციკლი ხელმძღვანელობის აზრით იქნება განუსაზღვრელი, შეიძლება თუ არა მან ის აღრიცხოს თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი?

^{ბ)} 20X2 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში რა დამატებითი ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს ჯგუფმა, თუ საწარმომ (როგორც მოიჯარემ) გააფორმა ხელშეკრულება 20X2 წელს და ხელმძღვანელობას გაუჭირდა მნიშვნელოვანი შეუქცევადი იჯარის კლასიფიკაცია (ე.ი. საოპერაციო იჯარა თუ ფინანსური)?

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ მიღწეულ იქნეს მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები გამოაკლდება მოგებისა და ზარალის განსაზღვრისას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება გამოითვლება პირველი შემოსავალში, პირველი გასავალში (ფიფო) მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო ვადა აღემატება სტანდარტულ საკრედიტო ვადას, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება უნდა გადაისინჯოს, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მოთხოვნები არ არის ამოღებადი. იმ შემთხვევაში თუ ასეთი მტკიცებულება არსებობს, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება. უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები ხანგრძლივი მუშაობის სტაჟისათვის

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოს ვალდებულებები უკავშირდება სავალდებულო სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ხანგრძლივი მუშაობის სტაჟის გასამრჯელოს. ეს პროგრამა ვრცელდება სრულ განაკვეთზე მომუშავე ყველა თანამშრომელზე, დირექტორების გარდა. გასამრჯელოს გადახდა ხდება მუშაობის ყოველი ხუთი წლის ბოლოს, ხელფასის 5 პროცენტის ოდენობით (გაანგარიშების ბაზად აიღება გასამრჯელოს გადახდის თარიღის წინა თორმეტი თვის ხელფასი). გადახდა ხორციელდება დეკემბრის ხელფასთან ერთად მეხუთე წელს. ჯგუფი აღნიშნულ ვალდებულებას წინასწარ არ აფინანსებს.

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ჯგუფის დანახარჯი და ვალდებულება, რომ დაქირავებულ მომუშავეებს გადაუხადოს გასამრჯელოები ხანგრძლივი მუშაობის სტაჟისთვის, აღიარდება მომუშავეთა დასაქმების პერიოდებში. ამ დანახარჯისა და ვალდებულების შეფასება ხდება პროგნოზირებული პირობითი ერთეულის მეთოდის(ს) გამოყენებით, საშუალო წლიური ხელფასის 4%-იანი ზრდის დაშვებისა და მომუშავეთა დენადობის შესახებ ჯგუფის უახლესი წარსულის გამოცდილების გათვალისწინებით, რომლის დისკონტირება ხდება მაღალი ხარისხის კორპორაციული ობლიგაციების მიმდინარე საბაზრო შემოსავლიანობის საფუძველზე.

ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებებისთვის

ჯგუფის მიერ გაყიდულ ყველა საქონელს ახლავს გარანტია, რომ მას ერთი წლის განმავლობაში არ აღმოაჩნდება საწარმოო წუნი. ჯგუფი საქონლის შეკეთებას ან შეცვლას ახდენს საკუთარი შეხედულებისამებრ. როდესაც აღიარდება შემოსავალი, კეთდება ანარიცხი საგარანტიო მომსახურების ვალდებულების შეფასებული დანახარჯებისათვის.

3. განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

გასამრჯელოები ხანგრძლივი მუშაობის სტაჟისათვის

ხანგრძლივი მუშაობის სტაჟისათვის გასამრჯელოების ვალდებულების განსაზღვრისთვის (განმარტებულია მე-2 და მე-19 შენიშვნაში), ხელმძღვანელობა აკეთებს შემდეგ შეფასებებს: მომავალი 5 წლის განმავლობაში ხელფასების ზრდა, მიმდინარე ღირებულების დათვლისას გამოსაყენებელი დისკონტირების განაკვეთი მომავალი 5 წლისთვის და იმ დასაქმებულთა რაოდენობა, რომლებიც მოსალოდნელია, რომ სამსახურს დატოვებენ სარგებლის მიღებამდე.

4. დივიდენდის გადასახადის შეზღუდვა

ბანკის სესხისა და ბანკის ოვერდრაფტის ხელშეკრულებების პირობების მიხედვით დაუშვებელია ისეთი ოდენობის დივიდენდების გადახდა, რაც გაუნაწილებელი მოგების ნაშთს შეამცირებს ბანკის სესხისა და ბანკის ოვერდრაფტის მიმდინარე ნაშთების ჯამზე ნაკლებ სიდიდემდე.

5. ამონაგები

	20X2	20X1
საქონლის გაყიდვა	ფი 6,743,545	ფი 5,688,653
როიალტები – სანთლის დამზადების პატენტების ლიცენზირება	120,000	120,000
	<u>6,863,545</u>	<u>5,808,653</u>

6. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავლები მოიცავს 20X1 და 20X2 წლებში მეკავშირე საწარმოსგან მიღებულ დივიდენდებს 25,000 ფე-ს ოდენობით, ასევე 20X2 წელს ძირითადი საშუალებების⁽¹⁾ გასხვისებიდან მიღებულ შემოსულობას 63,850 ფე-ს ოდენობით.

7. ფინანსური დანახარჯები

	20X2	20X1
--	------	------

¹ შეუძლია თუ არა ჯგუფს კონსოლიდირებულ მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში აღნიშნული თანხა წარადგინოს განცალკევებული სტრიქონის სახით, როგორც „განსაკუთრებული მუხლი“?

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

პროცენტი ბანკის სესხსა და ოვერდრაფტზე	ფე (21,250)	ფე (30,135)
პროცენტი ფინანსურ იჯარაზე	(5,116)	(6,577)
	<u>(26,366)</u>	<u>(36,712)</u>

8. მოგება დაბეგვრამდე

დაბეგვრამდე მოგების განსაზღვრისას ხარჯად აღიარებულია შემდეგი მუხლები:

	20X2	20X1
	ფე	ფე
ხარჯად აღიარებული მარაგების თვითღირებულება	5,178,530	4,422,575
სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ხარჯი (ჩართულია სხვა ხარჯებში)	31,620	22,778
სავაჭრო ვალდებულებებზე საკურსო სხვაობის შედეგად მიღებული ზარალი (ჩართულია სხვა ხარჯებში)	1,000	—
საგარანტიო მომსახურების ხარჯი (ჩართულია გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში)	5,260	7,340

9. მოგების გადასახადის ხარჯი

	20X2	20X1
	ფე	ფე
მიმდინარე გადასახადი	271,647	190,316
გადავადებული გადასახადი (შენიშვნა 15)	(1,397)	(757)
	<u>270,250</u>	<u>189,559</u>

მოგების გადასახადი გაიანგარიშება მიმდინარე წლის შეფასებული სავარაუდო მოგების 40%-ის ოდენობით (20X1: 40%).

20X2 წლის მოგების გადასახადის ხარჯი 270,250 ფე (189,559 ფე - 20X1 წელს) განსხვავდება იმ თანხისგან, რომელიც მიიღება დაბეგვრამდე მოგების მიმართ 40%-იანი საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით (როგორც 20X2 წელს, ასევე 20X1 წელს), ვინაიდან A ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ზოგიერთი ხარჯი (20,760ფე 20X2 წელს და 16,750ფე 20X1 წელს), რომლებიც აღიარდება ხარჯად დაბეგვრამდე მოგების გაანგარიშებისას, არ ექვემდებარება გამოქვითვას მოგების გადასახადის განსაზღვრისას.

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები^(უ)

	20X2	20X1
	ფე	ფე
სავაჭრო დებიტორები	528,788	528,788
გადახდილი ავანსები	56,760	45,478
	<u>585,548</u>	<u>573,862</u>

^უ შეუძლია თუა არა ჯგუფს სავაჭრო დებიტორებისა და გადახდილი ავანსების განმარტებით შენიშვნებში წარდგენის ნაცვლად, მათი განცალკევებულ მუხლებად წარდგენა კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში?

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

11. მარაგები^(ფ)

	20X2	20X1
	ფე	ფე
ნედლეული	42,601	36,450
დაუმთავრებელი წარმოება	1,140	900
მზა პროდუქცია	13,640	10,570
	<u>57,381</u>	<u>47,920</u>

12. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

ჯგუფი ფლობს 35% წილს მეკავშირე საწარმოში, რომლის აქციები საჯაროდ არ იყიდება.

	20X2	20X1
	ფე	ფე
მეკავშირე საწარმოში განხორციელებული ინვესტიციის თვითღირებულება	107,500	107,500
მეკავშირე საწარმოდან მიღებული დივიდენდები (ჩართულია სხვა შემოსავალში)	25,000	25,000

13. ძირითადი საშუალებები^(ქ)

	<i>ძიწა და შენობა- ნაგებობები</i>	<i>მოწყობილობები და აღჭურვილობა</i>	<i>მთლიანად</i>
	ფე	ფე	ფე
ხარჯი			
20X2 წლის 1-ლი იანვარი	1,960,000	1,102,045	3,062,045
შემოსვლა	—	485,000	485,000
გასვლა	—	(241,000)	(241,000)
20X2 წლის 31 დეკემბერი	<u>1,960,000</u>	<u>1,346,045</u>	<u>3,306,045</u>
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება			
20X2 წლის 1-ლი იანვარი	390,000	270,590	660,590
წლიური ცვეთა	30,000	240,360	240,360
გაუფასურება	—	30,000	30,000
გამოკლებული გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	—	(204,850)	(204,850)
20X2 წლის 31 დეკემბერი	<u>420,000</u>	<u>336,100</u>	<u>756,100</u>
საბალანსო ღირებულება			
20X2 წლის 31 დეკემბერი	<u>1,540,000</u>	<u>1,009,945</u>	<u>2,549,945</u>

^ფ შეუძლია თუა არა ჯგუფს ნედლეულის, დაუმთავრებელი წარმოების და მზა პროდუქციის განმარტებით შენიშვნებში წარდგენის ნაცვლად, მათი განცალკევებულ მუხლებად წარდგენა კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში?

^ქ მისაღებია თუ არა, რომ ჯგუფმა არ წარმოადგინა ძირითადი საშუალებებისათვის საწყისი და საბოლოო საბალანსო ღირებულებების შეჯერება შესაძარისი პერიოდისათვის?

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

20X2 წლის განმავლობაში ჯგუფმა მთავარი აღჭურვილობის ეფექტურობის მნიშვნელოვანი კლება შეამჩნია და განახორციელა მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადახედვა. გადახედვის შედეგად აღიარდა 30,000 ფე-ს ოდენობის გაუფასურების ზარალი.

ჯგუფის მოწყობილობებისა და აღჭურვილობის საბალანსო ღირებულება მოიცავს 40,000 ფე-ს (20X1: 60,000 ფე-ს) ფინანსური იჯარით აღებულ აქტივებთან დაკავშირებით.

20X2 წლის 10 დეკემბერს, დირექტორებმა გადაწყვიტეს, რომ დანადგარი ამოეღოთ ექსპლუატაციიდან. დანადგარის საბალანსო ღირებულება 20X2 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 1,472 ფე, ჩართულია მოწყობილობებისა და აღჭურვილობის კლასში, ხოლო სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს ამ დანადგარის შესყიდვასთან დაკავშირებულ ჯგუფის დარჩენილ ვალდებულებას 1,550ფე-ს. ვინაიდან მოსალოდნელია, რომ დანადგარის გასხვისებით მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივის და მასთან დაკავშირებული ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

14. არამატერიალური აქტივები^(ა)

პროგრამული უზრუნველყოფა:	<i>37</i>
თვითღირებულება	
20X2 წლის 1-ლი იანვარი	8,500
შემოსვლა	–
გასვლა	–
20X2 წლის 31 დეკემბერი	<u>8,500</u>
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	
20X2 წლის 1-ლი იანვარი	5,950
წლიური ამორტიზაცია (ჩართულია ადმინისტრაციულ ხარჯებში)	<u>1,700</u>
20X2 წლის 31 დეკემბერი	<u>7,650</u>
საბალანსო ღირებულება	
20X2 წლის 31 დეკემბერი	<u>850</u>

15. გადავადებული გადასახადი

შვილობილ და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებულ ინვესტიციებთან დაკავშირებით, მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და საგადასახადო ორგანოებისათვის წარდგენილ თანხებს შორის სხვაობა უმნიშვნელოა.

გადავადებული საგადასახადო აქტივები წარმოადგენს მომავალში მოგების გადასახადის შემცირების შედეგად მოსალოდნელი სარგებლის საგადასახადო შედეგებს, რომლებიც უკავშირდება შემდეგ მუხლებს:

- (ა) გასამრჯელო ხანგრძლივი მუშაობის სტაჟისთვის (მე-20 შენიშვნა), რომელიც არ ექვემდებარება საგადასახადო მიზნისთვის გამოქვითვას იმ დრომდე, სანამ არ მოხდება გასამრჯელოს ფაქტობრივად გადახდა, მაგრამ უკვე აღიარებულია ხარჯად ჯგუფის მიმდინარე წლის მოგების განსაზღვრისას;

^ა მისაღება თუ არა რომ ჯგუფმა არ წარმოადგინა არამატერიალური აქტივებისათვის საწყისი და საბოლოო საბალანსო ღირებულებების შეჯერება შესაძარისი პერიოდისათვის?

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ბ) სავაჭრო ვალდებულებებზე საკურსო სხვაობის შედეგად მიღებული ზარალი, რომელიც არ ექვემდებარება საგადასახადო მიზნისთვის გამოქვითვას იმ დრომდე, სანამ ვალდებულება არ დაიფარება, მაგრამ უკვე აღიარებულია, როგორც ხარჯი ჯგუფის მიმდინარე წლის მოგების განსაზღვრისას.

ხელმძღვანელობამ მიიჩნია, რომ მომავალში მოსალოდნელია დასაბეგრი მოგების არსებობა, რომლის მიმართაც შესაძლებელი იქნება სამომავლო მოგების გადასახადის განსაზღვრისას გამოქვითვების გამოყენება.

შემდეგი წარმოადგენს ჯგუფის მიერ აღიარებულ გადავადებულ საგადასახადო ვალდებულებებს (აქტივებს):

	<i>პროგრამული უზრუნველყოფა</i>	<i>საკურსო სხვაობის შედეგად მიღებული ზარალი</i>	<i>ხანგრძლივი მუშაობის სტაჟისთვის გასამრჯელო</i>	<i>მთლიანად</i>
	<i>ფე</i>	<i>ფე</i>	<i>ფე</i>	<i>ფე</i>
20X1 წლის 1-ლი იანვარი	1,700	—	(3,855)	(2,155)
მიმდინარე წლის მოგებაში ან ზარალში აღიარებული ხარჯი (კრედიტი)	(680)	—	(77)	(757)
20X2 წლის 1-ლი იანვარი	1,020	—	(3,932)	(2,912)
მიმდინარე წლის მოგებაში ან ზარალში აღიარებული ხარჯი (კრედიტი)	(680)	(400)	(317)	(1,397)
20X2 წლის 31 დეკემბერი	<u>340</u>	<u>(400)</u>	<u>(4,249)</u>	<u>(4,309)</u>

საკურსო სხვაობის შედეგად მიღებულ ზარალსა და ხანგრძლივი მუშაობის სტაჟის გასამრჯელოსთან დაკავშირებული გადავადებული საგადასახადო აქტივები და პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული გადავადებული საგადასახადო ვალდებულება ერთი და იმავე იურისდიქციის მოგების გადასახადს უკავშირდება და კანონმდებლობით ნებადართულია ნეტო ანგარიშსწორება. ამგვარად, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განხორციელდა მათი ურთიერთგადაფარვა შემდეგნაირად:

	<i>20X2</i>	<i>20X1</i>
	<i>ფე</i>	<i>ფე</i>
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება ^(ა)	340	1,020
გადავადებული საგადასახადო აქტივი	(4,649)	(3,932)
	<u>(4,309)^(ბ)</u>	<u>(2,912)</u>

^ა დასაშვებია თუ არა გადავადებული საგადასახადო ვალდებულებებისა და გადავადებული საგადასახადო აქტივების ურთიერთგადაფარვა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა გადავადებული საგადასახადო აქტივის წარდგენა?

^ბ იმ შემთხვევაში თუ 20X3 წელს რეალიზდება გადავადებული საგადასახადო აქტივის არსებითი თანხა, შეუძლია თუ არა ჯგუფს 20X2 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარადგინოს 20X3 წელს მისაღები თანხა მოკლევადიან აქტივად?

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

16. ბანკის ოვერდრაფტი და სესხი

	20X2	20X1
	<i>ფე</i>	<i>ფე</i>
ბანკის ოვერდრაფტი	83,600	115,507
ბანკის სესხი – სრულად დაფარვის ვადაა 20X4 წელი, წინასწარ გადახდაზე ჯარიმა გათვალისწინებული არ არის	50,000	150,000
	<u>(133,600.)^(B)</u>	<u>265,507</u>

ბანკის ოვერდრაფტი და სესხი უზრუნველყოფილია ცვალებადი გირაოთი ჯგუფის საკუთრებაში არსებულ მიწაზე და შენობა-ნაგებობებზე, რომლის საბალანსო ღირებულება 20X2 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 266,000 ფე-ს (412,000 ფე-ს - 20X1 წლის 31 დეკემბრისთვის).

ბანკის ოვერდრაფტზე პროცენტის გადახდა ხდება ლონდონის ბანკთაშორისი შეთავაზების განაკვეთზე (LIBOR) 200 პროცენტული პუნქტის დამატებით. შვიდწლიან საბანკო სესხზე პროცენტი გადასახდელია ფიქსირებული განაკვეთით, ძირითადი თანხის 5%-ის ოდენობით.

17. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები 20X2 წლის 31 დეკემბერს მოიცავს 42,6000 ფე-ს, რომელიც განსაზღვრულია უცხოურ ვალუტაში (20X1 წლის 31 დეკემბერს უდრის ნულს).

18. ანარიცხები საგარანტიო მომსახურების ვალდებულებებისთვის ^(B)

20X2 წლის განმავლობაში საგარანტიო მომსახურების ვალდებულებების ანარიცხებში დაფიქსირდა შემდეგი ცვლილებები: ^(D)

	20X2
	<i>ფე</i>
20X2 წლის 1-ლი იანვარი	5,040
დამატებითი დარიცხვა წლის განმავლობაში	5,260
მიმდინარე წელს გარანტიით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების და პროდუქციის შეცვლის დანახარჯი	<u>(6,100)</u>
20X2 წლის 31 დეკემბერი	<u>4,200</u>

ვალდებულება კლასიფიცირებულია მოკლევადიან ვალდებულებად, რადგან გარანტია შეზღუდულია 12 თვით.

^B იმის ნაცვლად, რომ ფულადი სახსრები (მოკლევადიანი აქტივი) წარადგინოს საბანკო ოვერდრაფტებისგან (მოკლევადიანი ვალდებულება) განცალკევებულად, შეუძლია თუ არა ჯგუფს წმინდა თანხა (ე.ი 20X2 წელს: 54,900 ფე) წარადგინოს, როგორც მიმდინარე ვალდებულება - „ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები“ - (როგორც ასახულია კონსოლიდირებულ ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში)?

^C მისაღებია თუ არა, რომ ჯგუფმა არ წარმოადგინა ანარიცხების საწყისი და საბოლოო საბალანსო ღირებულებების შეჯერება შესადარისი პერიოდისათვის?

^D იმ შემთხვევაში თუ გარანტია იქნებოდა უფრო ხანგრძლივი პერიოდით (მაგ. 3 წლით) განმარტებით შენიშვნებში პერიოდის განმავლობაში ანარიცხის ცვლილების შეჯერების შესახებ რა დამატებითი შემაჯერებელი მუხლის ნახვას მოელოდა?

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

19. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ვალდებულება—ხანგრძლივი მუშაობის სტაჟისათვის ვალდებულება^(წ)

ჯგუფის დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია სავალდებულო სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ხანგრძლივი მუშაობის სტაჟის გასამრჯელოსთან, ეფუძნება 20X2 წლის 31 დეკემბერს განხორციელებულ სრულ აქტუარულ შეფასებას:

	<i>20X2</i>	
	<i>ფი</i>	
ვალდებულება 20X2 წლის 1-ელ იანვარს	9,830	
დამატებითი დარიცხვა წლის განმავლობაში	7,033	
გასამრჯელოების გადახდა წლის განმავლობაში	(6,240)	
ვალდებულება 20X2 წლის 31 დეკემბერს	<u>10,623</u>	

ვალდებულებები კლასიფიცირებულია შემდეგნაირად:

	<i>20X2</i>	<i>20X1</i>
	<i>ფი</i>	<i>ფი</i>
მოკლევადიანი ვალდებულება	4,944	4,754
გრძელვადიანი ვალდებულება	<u>5,679</u>	<u>5,076</u>
მთლიანად	<u>10,623</u>	<u>9,830</u>

20. ფინანსური იჯარის ვალდებულებები

ჯგუფს ხუთწლიანი ფინანსური იჯარით აღებული აქვს სპეციალიზებული დანადგარი, რომლის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადა ხუთი წელია. მომავალში გადასახდელი მინიმალური საიჯარო გადასახდელები შემდეგი სახითაა წარმოდგენილი:

	<i>20X2</i>	<i>20X1</i>
	<i>ფი</i>	<i>ფი</i>
ერთი წლის განმავლობაში	25,000	25,000
ერთი წლის შემდეგ მაგრამ ხუთი წლის განმავლობაში	25,000	50,000
ხუთი წლის შემდეგ	-	-
	<u>50,000</u>	<u>75,000</u>

ვალდებულებები კლასიფიცირებულია შემდეგნაირად:

	<i>20X2</i>	<i>20X1</i>
	<i>ფი</i>	<i>ფი</i>
მოკლევადიანი ვალდებულება	21,461	19,884
გრძელვადიანი ვალდებულება	<u>23,163</u>	<u>44,624</u>
	<u>44,624</u>	<u>64,508</u>

^წ მისაღება თუ არა, რომ ჯგუფმა არ წარმოადგინოს დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ვალდებულების საწყისი და საბოლოო საბალანსო ღირებულებების შეჯერება შესადარისი პერიოდისათვის?

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

21. საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარის ვალდებულებები

ჯგუფს საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარით აღებული აქვს რამდენიმე სარეალიზაციო ოფისი. იჯარების საშუალო ვადა სამი წელია, ამავე ვადაში ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების გადახდით.

	20X2	20X1
	<i>ფ</i>	<i>ფ</i>
მიმდინარე წელს ხარჯად აღიარებული საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარით გათვალისწინებული მინიმალური საიჯარო გადასახდელები	26,100	26,100

წლის ბოლოს ჯგუფს გააჩნია შეუქცევადი ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებების დაუფარავი ნაშთები, რომელთა დაფარვის ვადებია:

	20X2	20X1
	<i>ფ</i>	<i>ფ</i>
ერთი წლის განმავლობაში	13,050	26,100
ერთი წლის შემდეგ მაგრამ ხუთი წლის განმავლობაში	—	13,050
5 წლის შემდეგ	—	—
	<u>13,050</u>	<u>39,150</u>

22. სააქციო კაპიტალი

20X2 წლისა და 20X1 წლის 31 დეკემბრისთვის სააქციო კაპიტალის ნაშთი შეადგენს 30,000 ფე-ს, რომელიც შედგება სრულად ანაზღაურებული, გამოშვებული და მიმოქცევაში მყოფი 30,000 ჩვეულებრივი აქციისაგან. ერთი აქციის ნომინალური ღირებულებაა 1.00 ფე. იურიდიულად ნებადართულია დამატებით 70,000 აქციის გამოშვება, რომელიც ჯერ არ არის გამოშვებული.

23. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	20X2	20X1
	<i>ფ</i>	<i>ფ</i>
ნაღდი ფული	28,700	22,075
ოვერდრაფტები	(83,600)	(115,507)
	<u>(54,900)</u>	<u>(93,432)</u>

24. პირობითი ვალდებულებები

20X2 წლის განმავლობაში მომხმარებელმა სასამართლოში შეიტანა სარჩელი შპს XYZ (სავაჭრო) წინააღმდეგ, წუნდებული სანთლით გამოწვეული ხანძრის გამო. მომხმარებელი ამტკიცებს, რომ მისმა ზარალმა მთლიანად 50,000 ფე შეადგინა და სასამართლოს მიმართა ამ თანხის მისაღებად.

ჯგუფის იურისკონსულტს მიაჩნია, რომ ბრალდება დაუსაბუთებელია და კომპანიას განზრახული აქვს, შეეპასუხოს ამ სარჩელს. ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ აღიარებულა, რადგან ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მოსალოდნელი არ არის ზარალის წარმოქმნა.

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

20X3 წლის 25 იანვარს წყალდიდობის შედეგად დაიტბორა სანთლების ერთ-ერთი საწყობი. მოსალოდნელია რომ რემონტის ხარჯი იქნება 36,000 ფე. ზარალის სადაზღვეო ანაზღაურება არის დაახლოებით 16,000 ფე.

20X3 წლის 14 თებერვალს დირექტორებმა მხარი დაუჭირეს ერთ აქციაზე 1.00 ფე-ის ოდენობის დივიდენდის (სულ 30,000 ფე) გამოცხადებას, რომელიც 20X3 წლის 15 აპრილს უნდა გაიცეს 20X3 წლის 31 მარტს რეგისტრირებულ აქციონერებზე. ვინაიდან ვალდებულება წარმოიშვა 20X3 წელს, იგი ასახული არ არის 20X2 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

26. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

ოპერაციები კომპანიასა და შვილობილ საწარმოს შორის, რომელიც მისი დაკავშირებული მხარეა, ელიმინირებულია კონსოლიდაციის დროს.

ჯგუფმა თავის მეკავშირე საწარმოზე (იხ. შენიშვნა 12), რომელიც დაკავშირებული მხარეა, გაყიდა საქონელი შემდეგი ოდენობით:

	საქონლის გაყიდვა		დაკავშირებული მხარის დავალიანების თანხები ჯგუფის მიმართ, რომელიც წლის ბოლოს ასახულია სავაჭრო მოთხოვნებში	
	20X2	20X1	20X2	20X1
	ფე	ფე	ფე	ფე
შვილობილი საწარმო	10,000	8,000	800	400

ფინანსური იჯარით (იხ. მე-20 შენიშვნა) გათვალისწინებული თანხების გადახდა პირადად არის გარანტირებული კომპანიის მთავარი აქციონერის მიერ. ამ გარანტიისათვის არ მოითხოვებოდა რაიმე დანახარჯების გაწევა.

20X2 წელს დირექტორებისა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის სხვა პირების შრომის ანაზღაურებამ მთლიანად შეადგინა 249,918 ფე (20X1: 208,260 ფე).

27. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორთა საბჭოს მიერ 20X3 წლის 10 მარტს.

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

სიტუაციური მაგალითის პასუხი

- (ა) შეუძლია თუ არა ჯგუფს კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგების ნაცვლად წარადგინოს ორი ანგარიშგება (ე.ი კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება და კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება)?

დიას, ჯგუფს შეუძლია წარადგინოს ორი ანგარიშგება (ე.ი კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება და კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება), კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგების ნაცვლად (იხ. პუნქტები 3.17 და 3.18).

- (ბ) როგორც შეიცვლება კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგების წარდგენა, იმ შემთხვევაში თუ 20X2 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფს ექნება შეწყვეტილი ოპერაციები?

ჯგუფი მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში განცალკევებული მუხლის სახით წარადგენს ჯამს, რომელიც შედგება (i) შეწყვეტილი ოპერაციების შედეგად წარმოქმნილი დაბეგვრის შემდგომი მოგების ან ზარალისაგან და (ii) დაბეგვრის შემდგომი შემოსულობის ან ზარალისგან, რომელიც დაკავშირებულია შეწყვეტილი ოპერაციის აქტივების გაუფასურებასთან, ან გაუფასურების კომპენსირებასთან, როგორც შეწყვეტილ ოპერაციად კლასიფიცირების მომენტში, ისე შემდგომში, და ასევე შეწყვეტილი ოპერაციის ნეტო აქტივების გასვლიდან (იხ. პუნქტი 5.5 ე). განცალკევებული მუხლი უნდა გამჟღავნდეს წლიურ მოგებად და განგრძობითი ოპერაციებიდან მიღებული მოგებისგან განცალკევებულად.

- (გ) როგორ შეიცვლება კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგების წარდგენა, იმ შემთხვევაში თუ ჯგუფს ექნება არასრულად ფლობილი შვილობილი საწარმო?

5.6 პუნქტის მიხედვით საწარმომ კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში განცალკევებით უნდა წარმოადგინოს პერიოდის მოგება ან ზარალი, რომელიც მისაკუთვნიებულია:

- (i) არამაკონტროლებელ წილზე; და
- (ii) სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე.

- (დ) შეიძლება თუ არა ჯგუფმა აირჩიოს ხარჯების ანალიზი ფუნქციების მიხედვით, ნაცვლად ხარჯების ეკონომიკური შინაარსით ანალიზისა?

საწარმომ უნდა წარმოადგინოს ხარჯების ანალიზი და ამ მიზნით ხარჯების კლასიფიკაცია უნდა მოახდინოს ეკონომიკური შინაარსის, ან საწარმოში მათი ფუნქციების მიხედვით. არჩევანი უნდა გაკეთდეს იმ მეთოდზე, რომელიც უფრო საიმედო და შესაბამის ინფორმაციას იძლევა (იხ. პუნქტი 5.11)

3.11 (ა) პუნქტის მიხედვით ჯგუფს არ შეუძლია სურვილისამებრ შეცვალოს ფინანსურ ანგარიშგებაში მუხლების კლასიფიკაცია ერთი საანგარიშგებო პერიოდიდან, მომდევნო საანგარიშგებო პერიოდამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ცხადია, რომ საწარმოს საქმიანობის/ოპერაციების შინაარსი მნიშვნელოვნად შეიცვალა, ან, როდესაც ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვიდან ჩანს, რომ სხვაგვარი წარდგენა, ან კლასიფიკაცია უფრო მეტად შეესაბამება მე-10 განყოფილებაში - „სააღრიცხვო პოლიტიკა, შეფასებები და

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შეცდომები “ - განსაზღვრულ სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევისა და გამოყენების კრიტერიუმებს.

აქედან გამომდინარე, ჯგუფმა შესაძლოა შეცვალოს წარდგენა მხოლოდ მაშინ, როდესაც ცხადია ჯგუფის ოპერაციების ეკონომიკური შინაარსის მნიშვნელოვანი ცვლილება, ან როდესაც ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვიდან ჩანს, რომ სხვაგვარი წარდგენა, ან კლასიფიკაცია უფრო მეტად საიმედო და შესაბამისია, ვიდრე ეკონომიკური შინაარსის მიხედვით ანალიზი.

(ე) მოეთხოვება თუ არა საწარმოს გაამჟღავნოს მუხლი - „მოგება დაბეგვრამდე“ განცალკევებულად?

5.5 პუნქტი არ მოითხოვს მუხლის - „მოგება დაბეგვრამდე“ - განცალკევებულად წარდგენას. თუმცა, 5.9 პუნქტის მიხედვით, საწარმომ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (ასევე მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, მისი წარდგენის შემთხვევაში) უნდა წარადგინოს დამატებითი მუხლები, ქვესათაურები და ქვეჯგუფების ჯამური თანხები, თუ ამგვარი წარდგენა აუცილებელია საწარმოს საქმიანობის ფინანსური შედეგების გასაგებად. აღნიშნული მოთხოვნები ანალოგიურად გამოიყენა ჯგუფის კონსოლიდირებულ მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებისთვის (იხ. პუნქტი 6.5). შესაბამისად, ხელმძღვანელობამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება წარადგინოს თუ არა მუხლი - „მოგება დაბეგვრამდე“ - განცალკევებით.

(ვ) კრძალავს თუ არა *მსს ფასს* სტანდარტი „ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების“ ნაცვლად სიტყვა „ბალანსი“-ის გამოყენებას?

არა, *მსს ფასს* სტანდარტი არ კრძალავს „ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების“ ნაცვლად სიტყვა „ბალანსი“-ის გამოყენებას. 3.22 პუნქტი საწარმოს ცალსახად რთავს ნებას ცალკეული ფინანსური ანგარიშგებისთვის გამოიყენოს *მსს ფასს* სტანდარტში გამოყენებული სახელწოდებებისაგან განსხვავებული სახელწოდებები, თუ ამგვარი სახელწოდებები შეცდომაში არ შეიყვანს მომხმარებლებს. იმის გამო რომ „ბალანსი“ ფართოდ გამოიყენება ზოგიერთ იურისდიქციაში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების დასახასიათებლად, მოსალოდნელი არ არის რომ აღნიშნული სათაურის გამოყენებამ შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი.

(ზ) კრძალავს თუ არა *მსს ფასს* სტანდარტი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წარდგენას მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგების წარდგენამდე?

არა, *მსს ფასს* სტანდარტი არ კრძალავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წარდგენას მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგების წარდგენამდე. 3.21 პუნქტი მოითხოვს, რომ საწარმომ თანაბარი თვალსაჩინოებით წარადგინოს თითოეული ფინანსური ანგარიშგება.

(თ) მოითხოვს თუ არა *მსს ფასს* სტანდარტი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წარდგენას ყველაზე ადრეული შესადარისი პერიოდის დასაწყისისთვის?

არა, *მსს ფასს* სტანდარტი არ მოითხოვს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წარდგენას ყველაზე ადრეული შესადარისი პერიოდის დასაწყისისთვის. 3.14 პუნქტი მოითხოვს ფინანსურ ანგარიშგებაში გასული პერიოდის შესადარისი ინფორმაციის გამჟღავნებას.

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ი) მოკლევადიანი და გრძელვადიანი აქტივებისა და მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებების განცალკევებულად წარდგენის ნაცვლად, შეუძლია თუ არა ჯგუფს წარადგინოს აქტივები და ვალდებულებები მათი ლიკვიდობების გათვალისწინებით?

გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ლიკვიდობის მიხედვით წარდგენილი ინფორმაცია უფრო საიმედო და შესაბამისია, საწარმოს მოეთხოვება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განცალკევებულად ასახოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი აქტივები და მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებები (იხ. პუნქტი 4.4).

3.11 (ა) პუნქტის მიხედვით, ჯგუფს არ შეუძლია სურვილისამებრ შეცვალოს ფინანსურ ანგარიშგებაში მუხლების კლასიფიკაცია ერთი საანგარიშგებო პერიოდიდან, მომდევნო საანგარიშგებო პერიოდამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ცხადია, რომ საწარმოს საქმიანობის/ოპერაციების შინაარსი მნიშვნელოვნად შეიცვალა, ან, როდესაც ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვიდან ჩანს, რომ სხვაგვარი წარდგენა, ან კლასიფიკაცია უფრო მეტად შეესაბამება მე-10 განყოფილებაში - „სააღრიცხვო პოლიტიკა, შეფასებები და შეცდომები“ - განსაზღვრულ სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევისა და გამოყენების კრიტერიუმებს.

აქედან გამომდინარე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ცხადია ჯგუფის ოპერაციების ეკონომიკური შინაარსის მნიშვნელოვანი ცვლილება ან, როდესაც ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვიდან ჩანს, რომ ლიკვიდობის მიხედვით წარდგენილი ინფორმაცია უფრო საიმედო და შესაბამისია, ვიდრე მოკლევადიან ან გრძელვადიან მუხლებად წარდგენა, ჯგუფს შეუძლია შეცვალოს წარდგენის ფორმა.

(კ) როდესაც საწარმო წარადგენს აქტივებსა და ვალდებულებებს მათი ლიკვიდობის მიხედვით, ეს უნდა მოხდეს ლიკვიდობის ზრდადობით თუ კლებადობით?

4.4 პუნქტის მიხედვით, როდესაც საწარმო თავის აქტივებსა და ვალდებულებებს წარადგენს მათი ლიკვიდობის მიხედვით, ყველა აქტივისა და ვალდებულების წარდგენა უნდა მოხდეს მიახლოებითი ლიკვიდობის შესაბამისად (ზრდადობის ან კლებადობის მიხედვით), ე,ი საწარმომ უნდა აირჩიოს ზრდადობის ან კლებადობის მიდგომა.

(ლ) მსს ფასს სტანდარტის მიხედვით მოეთხოვება თუ არა ჯგუფს წარადგინოს აღნიშნული ქვესათაურები?

მსს ფასს სტანდარტი არ მოითხოვს, და არც კრძალავს ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ქვესათაურების წარდგენას. შესაბამისად, ხელმძღვანელობამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება წარადგინოს თუ არა ქვესათაური „საინვესტიციო საქმიანობაზე მიკუთვნებული ფულადი ნაკადები“ მის კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში, რომელიც წარდგენილია არაპირდაპირი მეთოდით.

(მ) მსს ფასს სტანდარტის მიხედვით მოეთხოვება თუ არა ჯგუფს ნაღდ ფულში გადახდილი ფინანსური დანახარჯების გამჟღავნება განცალკევებულად?

დიახ, 7.14 პუნქტი მოითხოვს პროცენტებისა და დივიდენდების სახით მიღებული და გაცემული ფულადი ნაკადების ცალკე წარდგენას.

(ნ) მსს ფასს სტანდარტის მიხედვით მოეთხოვება თუ არა ჯგუფს ნაღდ ფულში გადახდილი მოგების გადასახადების გამჟღავნება განცალკევებულად?

დიახ, 7.17 პუნქტი მოითხოვს მოგების გადასახადთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების ცალკე წარდგენას.

(ო) მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციებისთვის სააღრიცხვო პოლიტიკად კიდევ რა შეფასების საფუძვლები შეიძლება გამოიყენოს ჯგუფმა?

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

14.4 პუნქტის მიხედვით საწარმომ მეკავშირე საწარმოში განხორციელებული ყველა ინვესტიცია უნდა აღრიცხოს შემდეგი მეთოდებიდან ერთ-ერთის მიხედვით:

- (i) თვითღირებულების მოდელი, რომელიც აღწერილია 14.5 პუნქტში;
- (ii) წილობრივი მეთოდი, რომელიც აღწერილია 14.8 პუნქტში; ან
- (iii) რეალური ღირებულების მოდელი, რომელიც აღწერილია 14.9 პუნქტში.

10.8 (ბ) პუნქტის მიხედვით, საწარმოს არ შეუძლია სურვილისამებრ შეცვალოს სააღრიცხვო პოლიტიკა თუ, ის არ უზრუნველყოფს ფინანსურ ანგარიშგებაში უფრო საიმედო და შესაბამისი ინფორმაციის წარდგენას, საწარმოს მიერ განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების, სხვა მოვლენების ან გარემოებების გავლენის შესახებ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე.

კომპანია მეკავშირე საწარმოში ინვესტიციებისთვის სააღრიცხვო პოლიტიკად იყენებს თვითღირებულების მოდელს. ხელმძღვანელობას შეუძლია გაამართლოს ცვლილება რეალური ღირებულების მოდელზე (ან წილობრივ მეთოდზე) იმის საფუძველზე, რომ ის ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე შეიცავს უფრო საიმედო და შესაბამის ინფორმაციას, ვიდრე თვითღირებულების მოდელი.

შენიშვნები

საწარმო, რომელიც იყენებს თვითღირებულების მოდელს, მეკავშირე საწარმოში განხორციელებული ინვესტიცია უნდა შეაფასოს რეალური ღირებულების მოდელის გამოყენებით, თუ არსებობს ამ ინვესტიციის გამოქვეყნებული კოტირებული ფასი (იხ. პუნქტი 14.7).

საწარმომ, რომელიც იყენებს რეალური ღირებულების მოდელს, თვითღირებულების მოდელი უნდა გამოიყენოს მეკავშირე საწარმოში განხორციელებული ისეთი ინვესტიციების შესაფასებლად, რომელთა რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შეუძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე (იხ. პუნქტი 14.10).

- (ვ) შეუძლია თუ არა ჯგუფს შეცვალოს მისი სააღრიცხვო პოლიტიკა ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯებისთვის ისე რომ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია განსაკუთრებული აქტივის შეძენის, მშენებლობის ან წარმოების პროცესთან, ჩართოს ამ აქტივის თვითღირებულებაში (ე.ი შეუძლია თუ არა ჯგუფს აღრიცხოს ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები სრული ფასის სტანდარტების ბასს 23-ის - „ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები“ - მიხედვით)?

არა, ჯგუფს არ შეუძლია შეცვალოს მისი სააღრიცხვო პოლიტიკა ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯებისთვის. *მის ფასს* სტანდარტის მიხედვით, ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველაწარმო დანახარჯი უნდა აღიარდეს როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

- (ვ) თუ ჯგუფმა შეიძინა სასაქონლო ნიშანი, რომლის სასიცოცხლო ციკლი ხელმძღვანელობის აზრით იქნება განუსაზღვრელი, შეიძლება თუ არა მან ის აღრიცხოს თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი?

დიახ, ყველა შესყიდული არამატერიალური აქტივი აღრიცხება თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ზარალი (იხ. პუნქტი 18.18). მსს ფასს სტანდარტის მიზნებისთვის, მიიჩნევა რომ ყველა არამატერიალურ აქტივს გააჩნია განსაზღვრული მომსახურების ვადა. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა უნდა განისაზღვროს ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასების საფუძველზე, მაგრამ ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს. (იხ. პუნქტი 18.20)

- (რ) 20X2 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში რა დამატებითი ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს ჯგუფმა, თუ საწარმომ (როგორც მოიჯარემ) გააფორმა ხელშეკრულება 20X2 წელს და ხელმძღვანელობას გაუჭირდა მნიშვნელოვანი შეუქცევადი იჯარის კლასიფიკაცია (ე.ი. საოპერაციოა იჯარა თუ ფინანსური)?

იმ შემთხვევაში თუ კლასიფიკაციის შერჩევას მნიშვნელოვანი ეფექტი აქვს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, ჯგუფმა უნდა განიხილოს 8.6 პუნქტის მიხედვით განმარტებით შენიშვნებში გაამჟღავნოს თუ არა იჯარის კლასიფიკაციისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული მსჯელობები. განმარტებითი შენიშვნები უნდა გაკეთდეს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ან სხვა შენიშვნების ნაწილში.

- (ს) რა გარემოებებში შეუძლია ჯგუფს დადგენილგადასახდელიანი პროგრამის ვალდებულების შესაფასებლად არ გამოიყენოს პროგნოზირებული პირობითი ერთეულის მეთოდი?

თუ საწარმოს, მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, არ შეუძლია პროგნოზირებული პირობითი ერთეულის მეთოდის გამოყენება დადგენილგადასახდელიანი პროგრამის ვალდებულებისა და შესაბამისი დანახარჯების შესაფასებლად, საწარმოს უფლება აქვს, დადგენილგადასახდელიანი პროგრამის ვალდებულების განსაზღვრისას გამოიყენოს გამარტივებული მიდგომა (იხ. პუნქტი 28.19)

- (ტ) შეუძლია თუ არა ჯგუფს კონსოლიდირებულ მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში აღნიშნული თანხა წარადგინოს განცალკევებული სტრიქონის სახით, როგორც „განსაკუთრებული მუხლი“?

მსს ფასს სტანდარტი ცალსახად კრძალავს ტერმინის - „განსაკუთრებული მუხლის“ - გამოყენებას, იმ მიზნით რომ აღწეროს ნებისმიერი შემოსავლისა და ხარჯის მუხლი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ან განმარტებით შენიშვნებში (იხ. პუნქტი 5.10). აღნიშნული მოთხოვნები ანალოგიურად გამოიყენება საწარმოს მიმართ, რომელიც წარადგენს მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებას (იხ. პუნქტი 6.5). შესაბამისად, ჯგუფს არ შეუძლია კონსოლიდირებულ მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში შემოსულობა დაახასიათოს, როგორც განსაკუთრებული მუხლი. თუმცა, 5.9 პუნქტის მიხედვით, საწარმომ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (ასევე წარდგენის შემთხვევაში მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში) უნდა წარადგინოს დამატებითი მუხლები, ქვესათაურები და ქვეჯგუფების ჯამური თანხები, თუ ამგვარი წარდგენა აუცილებელია საწარმოს საქმიანობის ფინანსური შედეგების გასაგებად. ჯგუფს შეუძლია გამოყოს შემოსულობა კონსოლიდირებულ მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში მისი განცალკევებულად წარდგენით.

- (უ) შეუძლია თუ არა ჯგუფს სავაჭრო დებიტორებისა და გადახდილი ავანსების განმარტებით შენიშვნებში წარდგენის ნაცვლად, მათი განცალკევებულ მუხლებად წარდგენა კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში?

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

დიახ, ჯგუფს შეეძლო წარედგინა სავაჭრო დებიტორები და გადახდილი ავანსები 20X2 წლის 31 დეკემბერის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განცალკევებული მუხლების სახით (იხ. პუნქტი 4.11 (ბ)).

მსს ფასს სტანდარტი არ განსაზღვრავს თანმიმდევრობას ან ფორმატს, რომლითაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილი უნდა იყოს მუხლები. პუნქტი 4.2 მოიცავს იმ მუხლების ჩამონათვალს, რომლებიც ერთმანეთისგან საკმარისად განსხვავდება ეკონომიკური შინაარსის ან ფუნქციების მიხედვით, რათა მოხდეს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მათი განცალკევებული წარდგენა. გარდა ამისა:

- (ა) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ცალკეული მუხლების წარდგენა იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც ამა თუ იმ მუხლის ან მსგავსი მუხლების ერთობლიობის სიდიდე, შინაარსი ან ფუნქცია იმგვარია, რომ მათი განცალკევებულად წარდგენა მნიშვნელოვანია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გასაგებად; და
- (ბ) ასევე შესაძლებელია მუხლების ან მსგავსი მუხლების ერთობლიობის მითითებული სახელწოდებებისა და თანამიმდევრობის შეცვლა, საწარმოს საქმიანობის სპეციფიკისა და ოპერაციების ბუნების შესაბამისად, რათა საწარმომ წარადგინოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გასაგებად (იხ. პუნქტი 4.9).

იმის დასადგენად, საჭიროა თუ არა დამატებითი მუხლების ცალკე წარდგენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, უნდა შეფასდეს:

- (ა) აქტივების ღირებულების სიდიდე, ხასიათი და ლიკვიდობა;
- (ბ) აქტივების ფუნქციები საწარმოში; და
- (გ) ვალდებულებების ღირებულების სიდიდე, ხასიათი და მათი დაფარვის ვადები.

(ფ) შეუძლია თუა არა ჯგუფს ნედლეულის, დაუმთავრებელი წარმოების და მზა პროდუქციის განმარტებითი შენიშვნებში წარდგენის ნაცვლად, მათი განცალკევებულ მუხლებად წარდგენა კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში?

დიახ, ჯგუფს შეეძლო წარედგინა ნედლეული, დაუმთავრებელი წარმოება და მზა პროდუქცია 20X2 წლის 31 დეკემბერის კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განცალკევებული მუხლების სახით (იხ. პუნქტი 4.11 (გ)).

მსს ფასს სტანდარტი არ განსაზღვრავს თანმიმდევრობას ან ფორმატს, რომლითაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილი უნდა იყოს მუხლები. პუნქტი 4.2 მოიცავს იმ მუხლების ჩამონათვალს, რომლებიც ერთმანეთისგან საკმარისად განსხვავდება ეკონომიკური შინაარსის ან ფუნქციების მიხედვით, რათა მოხდეს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მათი განცალკევებული წარდგენა. გარდა ამისა:

- (ა) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ცალკეული მუხლების წარდგენა იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც ამა თუ იმ მუხლის ან მსგავსი მუხლების ერთობლიობის სიდიდე, შინაარსი ან ფუნქცია იმგვარია, რომ მათი განცალკევებულად წარდგენა მნიშვნელოვანია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გასაგებად; და
- (ბ) ასევე შესაძლებელია მუხლების ან მსგავსი მუხლების ერთობლიობის მითითებული სახელწოდებებისა და თანამიმდევრობის შეცვლა, საწარმოს საქმიანობის სპეციფიკისა და ოპერაციების ბუნების შესაბამისად, რათა საწარმომ

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

წარადგინოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გასაგებად (იხ. პუნქტი 4.9).

იმის დასადგენად, საჭიროა თუ არა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში დამატებითი მუხლების ცალკე წარდგენა, უნდა შეფასდეს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი:

- (ა) აქტივების ღირებულების სიდიდე, ხასიათი და ლიკვიდობა;
 - (ბ) აქტივების ფუნქციები საწარმოში; და
 - (გ) ვალდებულებების ღირებულების სიდიდე, ხასიათი და მათი დაფარვის ვადები.
- (ქ) მისაღებია თუ არა, რომ ჯგუფმა არ წარმოადგინა ძირითადი საშუალებებისათვის საწყისი და საბოლოო საბალანსო ღირებულებების შეჯერება შესადარისი პერიოდისათვის?**
- დიახ, პუნქტი 17.31(ე) განსაზღვრავს რომ შეჯერების წარმოდგენა საწარმოს არ ევალება წინა პერიოდებისთვის (ე.ი იგი უშვებს გამონაკლისს 3.14 პუნქტის მოთხოვნებისგან, რომლის მიხედვითაც საწარმომ ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა გაამჟღავნოს გასული პერიოდის შესადარისი ინფორმაცია).
- (ღ) მისაღებია თუ არა რომ ჯგუფმა არ წარმოადგინა არამატერიალური აქტივებისათვის საწყისი და საბოლოო საბალანსო ღირებულებების შეჯერება შესადარისი პერიოდისათვის?**
- დიახ, პუნქტი 18.27(ე) განსაზღვრავს რომ შეჯერების წარმოდგენა საწარმოს არ ევალება წინა პერიოდებისთვის (ე.ი იგი უშვებს გამონაკლისს 3.14 პუნქტის მოთხოვნებისგან, რომლის მიხედვითაც საწარმომ ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა გაამჟღავნოს გასული პერიოდის შესადარისი ინფორმაცია).
- (ყ) დასაშვებია თუ არა გადავადებული საგადასახადო ვალდებულებებისა და გადავადებული საგადასახადო აქტივების ურთიერთგადაფარვა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა გადავადებული საგადასახადო აქტივის წარდგენა?**
- 2.52 პუნქტის მიხედვით, დაუშვებელია აქტივებისა და ვალდებულებების, ან ხარჯებისა და შემოსავლების ურთიერთგადაფარვა, თუ ეს არ მოითხოვება ან ნებადართული არ არის მსს ფასს სტანდარტით.
- 29.37 პუნქტის მიხედვით საწარმომ მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა განახორციელოს მიმდინარე საგადასახადო აქტივებისა და მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა, ან გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა, როდესაც მას აქვს ამ თანხების ჩათვლის იურიდიული ძალის მქონე უფლება და მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე შეუძლია იმის დემონსტრირება, რომ ანგარიშსწორებას გეგმავს ნეტო საფუძველზე, ან საგადასახადო აქტივის რეალიზებასა და საგადასახადო ვალდებულების დაფარვას ერთდროულად აპირებს. ყველა სხვა შემთხვევაში, ჯგუფმა არ უნდა განახორციელოს აღნიშნული ნაშთების ურთიერთგადაფარვა.
- (შ) იმ შემთხვევაში თუ 20X3 წელს რეალიზდება გადავადებული საგადასახადო აქტივის არსებითი თანხა, შეუძლია თუ არა ჯგუფს 20X2 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარადგინოს 20X3 წელს მისაღები თანხა მოკლევადიან აქტივად?**
- 4.5(გ) პუნქტის მიხედვით გადავადებული საგადასახადო აქტივი, რომლის რეალიზება მოსალოდნელია 20X3 წელს, წარმოადგენს მოკლევადიან აქტივს. თუმცა, 29.36 პუნქტის მიხედვით, ჯგუფმა გადავადებულ საგადასახადო აქტივებს არ უნდა მიანიჭოს მოკლევადიანი აქტივების კლასიფიკაცია. შესაბამისად, ჯგუფს არ შეუძლია

მოდული 8—ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

გადავადებული საგადასახადო აქტივის ნებისმიერი ნაწილი წარადგინოს მოკლევადიან აქტივად.

- (ბ) იმის ნაცვლად, რომ ფულადი სახსრები (მოკლევადიანი აქტივი) წარადგინოს საბანკო ოვერდრაფტებისგან (მოკლევადიანი ვალდებულება) განცალკევებულად, შეუძლია თუ არა ჯგუფს წმინდა თანხა (ე.ი 20X2 წელს: 54,900 ფე) წარადგინოს, როგორც მიმდინარე ვალდებულება - „ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები“ - (როგორც ასახულია კონსოლიდირებულ ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში)?

2.52 პუნქტის მიხედვით, დაუშვებელია აქტივებისა და ვალდებულებების, ან ხარჯებისა და შემოსავლების ურთიერთგადაფარვა, თუ ეს არ მოითხოვება ან ნებადართული არ არის მსს ფასს სტანდარტით. იმ შემთხვევაში თუ არ ხდება მოთხოვნისგან გათავისუფლება (მსს ფასს სტანდარტი მოიცავს გათავისუფლებას) ჯგუფს არ შეუძლია აღნიშნული მუხლები წმინდა საფუძველზე ასახოს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

- (გ) მისაღებია თუ არა, რომ ჯგუფმა არ წარმოადგინა ანარიცხების საწყისი და საბოლოო საბალანსო ღირებულებების შეჯერება შესადარისი პერიოდისათვის?

დიახ, 21.14 პუნქტი განსაზღვრავს, რომ შეჯერების წარმოდგენა არ არის სავალდებულო წინა პერიოდებისთვის (ე.ი იგი უშვებს გამონაკლისს 3.14 პუნქტის მოთხოვნებისგან, რომლის მიხედვითაც საწარმომ ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა გაამჟღავნოს გასული პერიოდის შესადარისი ინფორმაცია).

- (დ) იმ შემთხვევაში თუ გარანტია იქნებოდა უფრო ხანგრძლივი პერიოდით (მაგ. 3 წლით) განმარტებით შენიშვნებში პერიოდის განმავლობაში ანარიცხის ცვლილების შეჯერების შესახებ რა დამატებითი შემაჯერებელი მუხლის ნახვას მოელით?

შეჯერებისას მოცემულ პერიოდში დამატებით შექმნილი ანარიცხები, რომლებიც უკავშირდება დისკონტის პოზიციის დახურვას ანარიცხის დღევანდელი ღირებულებით შეფასებისას უნდა გამჟღავნდეს განცალკევებულად (იხ. პუნქტი 21.14(ii)).

- (ე) მისაღებია თუ არა, რომ ჯგუფმა არ წარმოადგინოს დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ვალდებულების საწყისი და საბოლოო საბალანსო ღირებულებების შეჯერება შესადარისი პერიოდისათვის?

დიახ, 28.41 პუნქტი განსაზღვრავს, რომ შეჯერების წარმოდგენა არ არის სავალდებულო წინა პერიოდებისთვის (ე.ი იგი უშვებს გამონაკლისს 3.14 პუნქტის მოთხოვნებისგან, რომლის მიხედვითაც საწარმომ ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა გაამჟღავნოს გასული პერიოდის შესადარისი ინფორმაცია).